

**უხსო ქვეყნის სასამართლო  
გადანყვეტილება  
საქართველოს ტერიტორიაზე  
ცნობა და აღსრულება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2020, № 10

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2020, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2020, №10

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2020, № 10

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქატიკვან შინგულია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 2 98 21 03;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

თანხის დაკისრება .....	4; 11; 17; 23; 34
ზიანის ანაზღაურება .....	40
მორიგება .....	46
განქორწინება .....	50; 52; 56; 59; 61; 64; 66
შვილება .....	69; 71; 74
არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა .....	78; 87; 100
ალიმენტის გადახდის დაკისრება .....	121; 125; 136; 138; 143
ქმედუუნაროდ ცნობა .....	147; 150
უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება .....	154

# თანხის დაკისრება

## განჩინება საქართველოს სასჯელით

№ა-3679-შ-102-2017

8 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. უკრაინის, ხმელნიცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სანარმომო „კ-ის“ სარჩელი შპს „ს-ის“ მიმართ დავალიანების – 128 547,66 ევროს დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ს-ს“ სახელმწიფო სანარმომო „კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 92 547,66 ევროს გადახდა, რაც შეადგენს დავალიანებას – 2 658 570,17 გრივნსა და სასამართლო ხარჯს – 39 878,55 გრივნს. შეწყდა საქმის წარმოება მოპასუხისათვის 36 000 ევროს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, ამავე გადაწყვეტილებით შპს „ს-ის“ შეგებებული სარჩელი სახელმწიფო სანარმომო „კ-ის“ მიმართ 1 230 856,44 გრივნის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა სახელმწიფო სანარმომო „კ-მ“ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, სასამართლოს ბეჭდით დამონმებული გადაწყვეტილებისა და სასამართლოს მიერ გაცემული ცნობების შესწავლით ირკვევა, რომ:

- ა) მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე;
- ბ) გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას, ამასთან, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე იგი არ აღსრულებულა;
- გ) მოწინააღმდეგე მხარე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად და საქართველოს სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს, მასვე განესაზღვრა საპროცესო ვადა წერილობითი პოზიციის წარმოსადგენად და განემარტა საკუთარი საპროცესო უფლებების შესახებ.

5. შპს „ს-მა“ წერილობით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საქმის ზეპირი განხილვა იმ საფუძვლით, რომ უკრაინის სასამართლომ საქმე არსებითი ხასიათის საპროცესო ნორმათა დარღვევით განიხილა, რაც გამოორიცხავდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, უკრაინაში საქმის განხილვაში მონაწილეობდა უკრაინის დასავლეთ რეგიონის ხმელნიცკის გარნიზონის სამხედრო პროკურორი. სამოქალაქო დავის განხილვაში პროკურორის მონაწილეობას ითვალისწინებს უკრაინის სამეურნეო კოდექსის 29-ე მუხლი. კანონის ამგვარი დანაწესი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციის გადმონაშთია, რომელიც ემსახურებოდა მართლმსაჯულებაზე ტოტალური კონტროლის განხორციელებას. ამგვარი მიდგომა შეცვალა ქართულმა სახელმწიფომ 1995 წელს ახალი კონსტიტუციისა და 1997 წელს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებით. სასამართლო პროცესზე პროკურორის მონაწილეობა მიზნად ისახავდა გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენას, იგი მხარს უჭერდა შუამდგომლობებს და ამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებებს. გარდა ამისა, უკრაინის სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეისწავლა, არ შეაფასა შპს „ს-ის“ სააპელაციო საჩივარი და საქმეში არსებული მასალები (ნასყიდობის საგნის შეკვეთების 20.05.2016წ. აქტები, რომლებიც ადასტურებს შუამდგომლობის ავტორის თანამშრომელთა მიერ 700 კონვექტორზე ნაკლის აღმოფხვრის ფაქტს, ასევე, არ შეისწავლა „კ-ის“ წერილები, სადაც აღიარებულია შპს „ს-ისათვის“ ნაკლიანი პროდუქციის მიწოდების ფაქტი და ამ უკანსკნელის დავალიანების არარსებობა) და საქმე განიხილა ერთ დღეში, როდესაც ხმელნიცკის ოლქის სამეურნეო სასამართლომ მის განხილვას მიუძღვნა 11 სხდომა, ამდენად, შპს „ს-მა“ ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შპს „ს-ის“ მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, სახელმწიფო საწარმო „კ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის, ხმელნიცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. უკრაინის, ხმელნიცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სახელმწიფო სანარმომო „კ-ის“ სარჩელი შპს „ს-ის“ მიმართ დავალიანების – 128 547,66 ევროს დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ს-ს“, სახელმწიფო სანარმომო „კ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისრა 92 547,66 ევროს გადახდა, რაც შეადგენს დავალიანებას – 2 658 570,17 გრივნსა და სასამართლო ხარჯს – 39 878,55 გრივნს. შეწყდა საქმის წარმოება მოპასუხისათვის 36 000 ევროს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, ამავე გადაწყვეტილებით შპს „ს-ის“ შეგებებული სარჩელი სახელმწიფო სანარმომო „კ-ის“ მიმართ 1 230 856,44 გრივნის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

1.2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა სახელმწიფო სანარმომო „კ-მ“ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

1.3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული გადაწყვეტილებისა და სასამართლოს მიერ გაცემული ცნობების შესწავლით ირკვევა, რომ:

ა) მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, ის თავად მონაწილეობდა პროცესში და განკარგა საკუთარი უფლებები (აღძრა შეგებებული სარჩელი, გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით);

ბ) გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას, ამასთან, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე იგი არ აღსრულებულა;

გ) მოწინააღმდეგე მხარე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია.

1.4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „ს-ის“ მტკიცებას შუამდგომლობის უარყოფასთან დაკავშირებით და მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გა-

რემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები აღსრულდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. გარდა ამისა, „სამოქალაქო საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის (შემდგომში „მინსკის კონვენცია“) მე-3 კარი არეგულირებს კონვენციის წევრი სახელმწიფოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხს, როგორც საქართველო, ისე – უკრაინა კონვენციის წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ და, საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობენ ხსენებული კონვენციის დებულებებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მონინაალმდევე მხარე ვერ ასაბუთებს კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის წინაპირობების არსებობას.

1.5. უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას, სასამართლო ხელმძღვანელობს ზემოხსენებული ნორმატიული დანაწესების ფორმალური საფუძვლიანობის შემონიშნებით, იმგვარად, რომ არ არის უფლებამოსილი, ზედამხედველობა გაუწიოს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალურ კანონიერებას. მოცემულ შემთხვევაში, შპს „ს-მა“ ისარგებლა, როგორც შეგებებული სარჩელის უფლებით, ისე – გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრების შესაძლებლობით. ის, მართალია, პრეტენზიას აცხადებს მტკიცებულებათა არასათანადო კვლევაზე, თუმცა, გაურკვეველია, რატომ არ გაასაჩივრა უკრაინის ეროვნული სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საკასაციო წესით. იმ მხრივ, რომ მხარემ ამოწურა უცხო ქვეყნის სასამართლოს ტერიტორიაზე სამართლებრივი დაცვის საშუალებები მისი წერილობითი პოზიციებიდან არ დასტურდება, შესაბამისად, მხარის პრეტენზიის შესწავლა მტკიცებულებათა კვლევის თაობაზე ცდება საკასაციო სა-

სამართლოს კომპეტენციას, რაც შეეხება პროკურორის მონაწილეობას პროცესში, საკასაციო სასამართლოს ამ მხრივ შპს „ს-ის“ მიერ გამოთქმული პრეტენზიების ანალიზის შედეგად ვერ გამოაქვს დასკვნა, რომ ამ საპროცესო მოქმედების შედეგად დაირღვა მხარის უფლებები. პროკურორის სამოქალაქო საქმეში მონაწილეობა, როგორც თავად მხარე ადასტურებს, განპირობებულია უკრაინის საპროცესო კანონმდებლობით, რომლის შეფასებაც ასევე ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. რასაკვირველია, საქართველოს კანონმდებლობაში გატარებული რეფორმები ემსახურება ამა თუ იმ რეგულაციის სრულყოფას ევროპულ კანონმდებლობასთან, თუმცა, ის გარემოება, რომ ზედამხედველობის უფლებით პროკურორს მონაწილეობის უფლება გააჩნია სხდომაზე, რასაც მხარე საბჭოთა კანონმდებლობის გადმონაშთად აღიქვამს, ვერ გახდება უკრაინის ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძველი, მით უფრო, რომ მხარეს დამაჯერებლად არ აუხსნია, თუ რა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა პროკურორის მონაწილეობამ საქმის განხილვაზე, მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი მხარს უჭერდა გარკვეულ შუამდგომლობებს, ფართო გაგებით ვერ იქნება სამართლის ნორმის დარღვევად მიჩნეული, რადგანაც პროცესის სუბიექტუნარიანობა საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლებას გულისხმობს (უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული კანონმდებლობა ამგვარ მიდგომას ცალსახად არ ემიჯნება, რამდენადაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ დავის საგნის ღირებულება 500 000 ლარს აღემატება ან/და თუ საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება და სამოქალაქო პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება მონაწილეობს, იგი მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის დანიშვნა (გარდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავისა). ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება უფლებამოსილია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, იმავე საქმეზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ საჯარო მოსამსახურეს, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებაში მუშაობს). გარდა ამისა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვას მიუძღვნა 11 სხდომა, პრეზუმირებულია, რომ საქმე არსებითად იქნა შესწავლილი, ხოლო ამ გადანყვეტილების



ძალაში დატოვებისას სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ერთ სხდომაში დამთავრება არ ეწინააღმდეგება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მარეგულირებელ ნორმებს.

1.6. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ ზემოთ განვითარებული მსჯელობა არც ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება. ერთ-ერთ საქმეზე (Avotins v. Latvia [GC]) ადამიანის უფლებათა ევროსასამართლომ ევროკონვენციის მე-6 მუხლი დარღვევულად არ მიიჩნია უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას. ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად: კვიპროსის სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მომჩივანს, ლატვიის მოქალაქეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომპანიისთვის დავალიანების გადახდა დააკისრა. მომჩივნის განცხადებით, მას სათანადოდ არ შეატყობინეს კვიპროსში მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ. მოსარჩელემ მოითხოვა კვიპროსის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლატვიის ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ბრიუსელის I რეგულაციის შესაბამისად. აპლიკანტი შეცავდა ლატვიის სასამართლოსთვის ხელი შეეშალა გადაწყვეტილების აღსრულებაში იმ საფუძვლით, რომ კონვენციის სხვა ხელმეპყრელ სახელმწიფოში მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობა ვერ მოხდება თუ მოპასუხეს დროულად არ ჩაბარდა სარჩელი და მას არ მიეცა საპასუხო არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. თუმცა ლატვიის უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტი და განაცხადა, რომ ვინაიდან მომჩივანმა გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი არ წარადგინა კვიპროსში, მისი პრეტენზიები იმ დროისთვის აღარ იყო რელევანტური. მომჩივანი დავობდა, რომ დაირღვა კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 6.1 მუხლის დარღვევა არ დაადგინა. მან მიიჩნია, რომ არსებობდა ხარვეზები უზენაესი სასამართლოს მხრიდან მომჩივნის მიერ წარდგენილი „prima facie“ მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის ფორმის გამო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ხარვეზმა არ განაპირობა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივანს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება კვიპროსში გაესაჩივრებინა.

1.7. ამდენად, უკრაინის, ხმელნიცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ს-ს“ სახელმწიფო სანარმო „კ-ის“ სასარგებლოდ

დაეკისრა 92 547,66 ევროსა (რაც შეადგენს 2 658 570,17 გრივს) და სასამართლო ხარჯის – 39 878,55 გრივის გადახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

## **2. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვაზე უარის თქმის დასაბუთება:**

2.1. შპს „ს-ი“ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე და ამ მიზნით წარადგინა არგუმენტები, რომლებიც, მხარის მოსაზრებით, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

2.2. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტი (საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას, აგრეთვე, უნდა განემარტოს, რომ საქმე ზეპირად განიხილება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს), მართალია, ითვალისწინებს მხარის მოთხოვნით სხდომის დანიშვნის შესაძლებლობას, თუმცა ის საკითხები, რომელთა გამოც მხარეს სურს საქმის ზეპირი განხილვა, შეფასებულია საკასაციო პალატის მხრიდან, გარდა ამისა, მას საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე საკუთარი წერილობითი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა არ შეზღუდვია და მან გამოიყენა კიდევაც აღნიშნული შესაძლებლობანი (იხ. ECHR: CASE OF GALSTYAN v. ARMENIA; რიჟამაძე საქართველოს წინააღმდეგ), ამდენად, სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება მხარისათვის გარანტირებული იყო საქმის განხილვის ყველა ეტაპზე, ხოლო პროცესუალური ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს სავალდებულოდ არ მიაჩნია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ს-ის“ შუამდგომლობა საქმის ზეპირი განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. სახელმწიფო საწარმო „კ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის, ხმელნიცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომ-

ბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

3. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის, ხმელნიცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ს-ს“ სახელმწიფო სანარმო „კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 92 547,66 ევროსა (რაც შეადგენს 2 658 570,17 გრივნს) და სასამართლო ხარჯის – 39 878,55 გრივნის გადახდა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **თანხის დაკისრება**

### **განჩინება საქართველოს სახელის**

№ა-2333-შ-59-2018

20 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი: თანხის დაკისრება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. უკრაინის, დონეცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით, შპს „დ-ის“ სარჩელი სს „ს-ის“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს შპს „დ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 24311.55 აშშ დოლარისა და სასამართლო მოსაკრებლის – 9073.07 გრივნის გადახდა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შპს „დ-მა“ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიექცევა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული გადაწყვეტილებისა და სასამარ-

თლოს მიერ გაცემული ცნობების შესწავლით ირკვევა, რომ:

ა) მოპასუხე, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია საქმის განხილვაში, ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მისი წარმომადგენელი – ლ. მ-ი;

ბ) გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2017 წლის 20 ნოემბერს;

გ) მონინალმდეგე მხარე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად. ხსენებული განჩინება, საქმის მასალებთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა მონინალმდეგე მხარეს და განემარტა საკუთარი საპროცესო უფლებები.

**5. შუამდგომლობის წინააღმდეგ წერილობითი პასუხის წარდგენისათვის დადგენილ ვადაში მონინალმდეგე მხარემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მონინალმდეგე მხარის ძირითადი პრეტენზიები მდგომარეობს შემდეგში:**

5.1. საქმის განხილვის შესახებ ინფორმაცია, ასევე, საქმის მასალები მას ჩაბარდა უკრაინულ ენაზე;

5.2. იგი არ იყო სათანადოდ ინფორმირებული სასამართლოს სხდომის თაობაზე;

5.3. მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო პირობას წარმოადგენს, რომ საკომუნიკაციო ენა ინგლისურია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ შპს „დ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის, დონეცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. უკრაინის, დონეცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადანყვეტილებით, შპს „დ-ის“ სარჩელი სს „ს-ის“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს შპს „დ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 24311.55 აშშ დოლარისა და სასამართლო მოსაკრებლის – 9073.07 გრივნის გადახდა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მონათა შპს „დ-მა“ და მოითხოვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, სასამართლოს ბეჭდით დამონმებული გადაწყვეტილებისა და სასამართლოს მიერ გაცემული ცნობების შესწავლით ირკვევა, რომ:

ა) მოპასუხე, რომელსაც მონანიღობა არ მიუღია საქმის განხილვაში, ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მისი წარმომადგენელი – ლ. მ-ი;

ბ) გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2017 წლის 20 ნოემბერს;

გ) მოწინააღმდეგე მხარე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია.

4. მართალია, შუამდგომლობის ავტორის მოწინააღმდეგე მხარე არ ეთანხმება მის წინააღმდეგ წარდგენილ მოთხოვნას და ძირითადად საკუთარ პოზიციას აფუძნებს იმაზე, რომ ის სათანადოდ არ იყო მიწვეული საქმის განხილვაზე, ასევე, დაირღვა სხვა პროცედურული წესები, თუმცა პალატა არ იზიარებს ამ მტკიცებას. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მხარის პოზიცია ამ მხრივ წინააღმდეგობრივია, ის, ერთი მხრივ, სადავოდ ხდის დოკუმენტების ჩაბარებას, ასევე, უწყების გადაცემას, ხოლო, მეორე მხრივ, ადასტურებს, რომ ეს დოკუმენტები ჩაბარდა, თუმცა არა ქართულ, ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკომუნიკაციო – ინგლისურ ენაზე, არამედ, უკრაინულ ენაზე, გარდა ამისა, საქმის ზეპირი განხილვისას მხარის წარმომადგენელმა დაადასტურა სადავო დოკუმენტაციის მიღების ფაქტი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სხდომაზე მხარის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე, რომელთა შესწავლითაც ირკვევა, რომ სს „ს-ია“ უცხო ქვეყნის სამართალწარმოებაში ჩაბმული იყო. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, პალატა ხელმძღვანელობს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის (შემდგომში – მინსკის კონვენცია) მე-10 მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია დოკუმენტების გადაცემის წესი და ნორმის პირველი პუნქტის ლოგიკური ანალიზით ირკვევა, რომ ხელშეკრული მხარის მოქალაქეს შესაძლოა, დოკუმენტაცია არასახელმწიფო ენაზეც გადაეცეს. იგი ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ ადრესატი უარს არ განაცხადებს არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტის მიღებაზე. მოცემულ შემთხვევაში, რომც გავიზიაროთ მოწინააღმდეგე მხარის მტკიცება, რომ მას არც ქართულ და არც ინგლისურ ენაზე ნა-

წარმოები დოკუმენტაცია არ ჩაბარებია, არამედ, ჩაბარდა უკრაინულ ენაზე შედგენილი მასალები, მაინც არ იარსებებს მისი მოსაზრებების გაზიარების წინაპირობა, რადგანაც თავად მხარემაც დაადასტურა მათი ნებაყოფლობით მიღების ფაქტი.

5. მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობებით აღიარებს და აღსრულებს სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე იუსტიციის დაწესებულებების მიერ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს, ამავე კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად კი, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება... შუამდგომლობას თან ერთვის: ა) გადაწყვეტილება ან მისი დამონშებული ასლი, ასევე ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას ან იმის შესახებ, რომ იგი ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ ეს არ გამომდინარეობს თავად გადაწყვეტილებიდან; ბ) დოკუმენტი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, და რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში, სათანადო წესრიგში იმყოფებოდა და დროულად იქნა გამოძახებული სასამართლოში, ხოლო მისი პროცესუალური არაქმედუნარიანობის შემთხვევაში სათანადოდ იქნა წარმოდგენილი; ვ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გადაწყვეტილების ნაწილობრივ აღსრულებას მისი გადაგზავნის მომენტისთვის; გ) დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის საქმეებზე. შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე და მისი თანდართული დოკუმენტები აღიჭურვება დამონშებული თარგმანით თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის ენაზე ან/და რუსულ ენაზე. რაც შეეხება გადაწყვეტილების აღსრულების წესს, მას ადგენს კონვენციის 54-ე მუხლი, რომლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საკითხის განმხილველი სასამართლო ადგენს, შეესაბამება თუ არა შუამდგომლობა ამ კონვენციის 53-ე მუხლის მოთხოვნებს. მინსკის კონვენციით დადგენილია, ასევე, იმ მხარის თავდაცვის საშუალებები, რომლის წინააღმდეგაცაა გამოტანილი აღსასრულებლად მისაქცევი გადაწყვეტილება, კერძოდ, 55-ე მუხლის თანახმად, 52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღიარებაზე და იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება, უარი ეთქვას, თუკი: ა) ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერი-

ტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, იგი არ შესულა კანონიერ ძალაში ან არ ექვემდებარება აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ ძალაში შესვლამდე; ნ) მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება; ხ) საქმეზე იმავე მხარეებს, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, სადაც აღიარებულ და აღსრულებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება, ადრე უკვე გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან არსებობს მესამე სახელმწიფოს სასამართლოს აღიარებული გადაწყვეტილება, ანდა, თუ ამ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებამ ადრე აღძრა წარმოება ამ საქმეზე; რ) წინამდებარე კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობისა, რომლის ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება აღიარებული და აღსრულებული უნდა იქნეს, საქმე ეხება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას; ა) არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ; ე) ამოიწურა იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, გათვალისწინებული იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის სასამართლოც ასრულებს დავალებებს. ანალოგიურ დათქმებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე და 71-ე მუხლები.

6. საკასაციო პალატა დამატებით მოიშველიებს პრეცედენტული სამართლით დადგენილ პრინციპებსაც: ერთ-ერთ საქმეზე (*Avotins v. Latvia [GC]*) ადამიანის უფლებათა ევროსასამართლომ ევროკონვენციის მე-6 მუხლი დარღვეულად არ მიიჩნია უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას (*ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად: კვიპროსის სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მომჩივანს, ლატვიის მოქალაქეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომპანიისთვის დავალიანების გადახდა დააკისრა. მომჩივნის განცხადებით, მას სათანადოდ არ შეატყობინეს კვიპროსში მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ. მოსარჩელემ მოითხოვა კვიპროსის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლატვიის ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ბრიუსელის I რეგულაციის შესაბამისად. აპლიკანტი შეეცადა ლატვიის სასამართლოებისთვის ხელი შეეშალა გადაწყვეტილების აღსრულებაში იმ საფუძველით, რომ კონვენციის სხვა ხელშემკვრელ*

სახელმწიფოში მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობა ვერ მოხდება თუ მოპასუხეს დროულად არ ჩაჰპარდა სარჩელი და მას არ მიეცა საპასუხო არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. თუმცა ლატვიის უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტი და განაცხადა, რომ ვინაიდან მომჩივანმა გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი არ წარადგინა კვიპროსში, მისი პრეტენზიები იმ დროისთვის აღარ იყო რელევანტური) მომჩივნის პრეტენზია, რომლის თანახმადაც დაირღვა კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა ხარვეზები უზენაესი სასამართლოს მხრიდან მომჩივნის მიერ წარდგენილი „prima facie“ სერიოზული საკითხის განხილვის ფორმის გამო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ხარვეზმა არ განაპირობა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივანს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება კვიპროსში გაესაჩივრებინა.

7. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სს „ს-იამ“ ვერ დაამტკიცა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობების არსებობა, ამასთანავე, საქმის განხილვისას დადგინდა რა მის მიერ გამოთქმული პრეტენზიების უმართებულობა, პალატა მიიჩნევს, რომ უკრაინის, დონეცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ს-იას“ შპს „დ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 24 311,55 აშშ დოლარისა და სასამართლო მოსაკრებლის – 9 073,07 გრივნის გადახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის 51-ე, 53-ე, 55-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68.5 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „დ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის, დონეცკის ოლქის სა-



მეურნეო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსარულვლად უკრაინის, დონეცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც სს „სიას“ (ს/კ №4-...) შპს „დ-ის“ (ს/კ №3-...) სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 24 311,55 აშშ დოლარისა და სასამართლო მოსაკრებლის – 9 073,07 გრივნის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **თანხის დაკისრება**

### **განჩინება**

### **საქართველოს სასჯელი**

№ა-5070-შ-131-2017

30 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამის ნაწილებში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით:**

1.1. მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;

1.2. შპს „კ. ბ-ის“ მ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა:

1.2.1. სესხის სახით 1 935 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომ-

ხური დრამის ანაზღაურება;

1.2.2. დაკისრებულ ზემოაღნიშნულ თანხაზე – 1 935 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამის ოდენობით პროცენტის გადახდა, სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, დაწყებული 2015 წლის 2 აპრილიდან ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

1.3. შპს „კ. ბ-ის“ სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 38 700 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამა, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის თანხა 2%-ის ოდენობით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2.2. პუნქტში დარიცხული თანხიდან, გადაწყვეტილების გამოტანის დღის – 2016 წლის 11 ივლისის მდგომარეობით, ასევე, 2016 წლის 12 ივლისიდან გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულებას შორის დროის მონაკვეთში.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს მ. ა-მა და სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლომ. მ. ა-მა მოითხოვა თავის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრების, ხოლო სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით შუამდგომლობები წარმოებაში იქნა მიღებული.

4. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ა-მა და მიუთითა, რომ უარს ამბობს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე და სურს საქმის წარმოების შეწყვეტა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

5. საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ის შუამდგომლობაზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე კანონის 57-ე მუხლის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირები, სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები, ხოლო 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. სსსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამოწვევებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლი ადგენს, რომ საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე უფლებამოსილია იხელმძღვანელოს ქვემდგომი ინსტანციის წესით საქმის განხილვის მარეგულირებელი ყველა იმ ნორმით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ზემდგომი წესით საქმის განხილვის მარეგულირებელ წესებს.

7. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი საქმის განხილვის წესებით, თუ აღნიშნული წესები საკასაციო პალატისათვის განსაზღვრულ სპეციალურ ნორმებს არ ეწინააღმდეგება.

8. სსსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

9. ამდენად, აპელანტი უფლებამოსილია, კანონით გათვალის-

წინებული შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სააპელაციო საჩივარზე. აღნიშნული წესი ვრცელდება შუამდგომლობაზე უარის თქმის უფლებაზეც.

10. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, შუამდგომლობის ავტორმა მ. ა-მა წარმოადგინა განცხადება და უარი თქვა შუამდგომლობაზე, შესაბამისად, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

11. რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს შუამდგომლობას, აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

**12. საქმეზე დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით:**

12.1. მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;

12.2. შპს „კ. ბ-ის“ მ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა:

12.2.1. სესხის სახით 1 935 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამის ანაზღაურება;

12.2.3. დაკისრებულ ზემოაღნიშნულ თანხაზე – 1 935 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამის ოდენობით პროცენტის გადახდა, სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, დაწყებული 2015 წლის 2 აპრილიდან ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

12.3. მოპასუხეს სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 38 700 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამის, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის თანხის 2%-ის გადახდა, წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1.2. პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანის დღის – 2016 წლის 11 ივლისის მდგომარეობით, აგრეთვე, 2016 წლის 12 ივლისიდან გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულებას შორის დროის მონაკვეთში.

13. შუამდგომლობებზე თანდართული მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, იგი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ამასთან, მოპასუხე მხარე, ინფორმირებული იყო სასამართლოში საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე.

14. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სა-

სამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

15. ამავედროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

16. ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

17. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე, 68-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 378-ე, 284-ე-285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ა-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. შეწყდეს საქმის წარმოება მ. ა-ის შუამდგომლობაზე სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე იმ ნა-

წილში, რომლითაც:

1.1. შპს „კ. ბ-ის“ მ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა:

1.2. სესხის სახით 1 935 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამის ანაზღაურება;

1.3. დაკისრებულ ზემოაღნიშნულ თანხაზე – 1 935 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამის ოდენობით პროცენტის გადახდა, სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, დაწყებული 2015 წლის 2 აპრილიდან ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3. სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

4. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „კ. ბ-ის“ სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 38 700 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამა, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის თანხა 2%-ის ოდენობით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 2.2.1. პუნქტში დარიცხული თანხიდან (1 935 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი სომხური დრამის), გადაწყვეტილების გამოტანის დღის – 2016 წლის 11 ივლისის მდგომარეობით, ასევე, 2016 წლის 12 ივლისიდან გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულებას შორის დროის მონაკვეთში.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# თანხის დაკისრება

## განჩინება საქართველოს სასჯელით

№ა-5274-შ-130-2018

11 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ-ყაზახეთის ოლქის ქალაქ პეტროპავლოვსკის №2 სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით (შემდგომში – „ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლოს გადაწყვეტილება“ ან „საცნობი გადაწყვეტილება“) მ. ი. ძე უ-ს (შემდგომში – „მონინალმდეგე მხარე“ ან „მოპასუხე“) ს. უ. ძე უ-ის სასარგებლოდ (შემდგომში – „შუამდგომლობის ავტორი“ ან „მოსარჩელე“) დაეკისრა 1 050 000 (ერთი მილიონ ორმოცდაათი ათასი) ტენგეს ოდენობით ვალის და სახელმწიფო ბაჟის – 10 500 (ათი ათას ხუთასი) ტენგეს გადახდისთვის ხარჯის, სულ 1 060 500 (ერთი მილიონ სამოცი ათას ხუთასი) ტენგეს გადახდა.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2018 წლის 12 ნოემბრის №11554 წერილით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციისა (შემდგომში – „მინსკის კონვენცია“) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად, შემდგომი რეაგირებისათვის გადმოგზავნა მოსარჩელის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა თანხის გადახდა.

3. ქალაქ პეტროპავლოვსკის №2 სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებით დასტურდება, რომ საცნობი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2017 წლის 14 ივნისს და ექვემდებარება აღსრულებას, ამასთან, არ აღსრულებულა ყაზახეთის რესპუბლი-

კის ტერიტორიაზე. მონინალმდევე მხარის საცხოვრებელი ადგილი საქართველოშია (იხ. უკუგზავნილი და მონინალმდევე მხარის დროებითი ბინადრობის მონმობის ასლი, გაცემის თარიღი: ...04.20..., მოქმედების ვადა: ....01.20...).

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ მონინალმდევე მხარეს უფლება ჰქონდა წარმოედგინა მოსაზრება აღნიშნული შუამდგომლობის თაობაზე მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

5. 2019 წლის 1 აპრილს მონინალმდევე მხარის წარმომადგენელმა ნ. მ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება და იშუამდგომლა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე.

#### **6. მონინალმდევე მხარემ მიუთითა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ საფუძვლებზე:**

6.1. მოპასუხისთვის არ ყოფილა ცნობილი სარჩელისა და სასამართლოში მიმდინარე პროცესების შესახებ. სასამართლო სხდომები ჩატარდა მოპასუხის გარეშე, რომელსაც არ აცნობეს მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. მოპასუხე ცოლ-შვილით, დიდი ხანია, აღარ ცხოვრობს ყაზახეთში, რაც მოსარჩელისთვის კარგად იყო ცნობილი. აღნიშნულს მონმობს მოპასუხის პასპორტში არსებული შტამპები მის მიერ საზღვრის კვეთებთან დაკავშირებით. მოსარჩელემ შეგნებულად არ მიუთითა და არ აცნობა სასამართლოს მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რადგან ასეთ შემთხვევაში დადგინდებოდა, რომ ვალის აღების შესახებ წარდგენილ დოკუმენტზე გაყალბებულია მონინალმდევე მხარის ხელმოწერა. აღნიშნული შემდგომში დადასტურებულია კიდევ ექსპერტიზის დასკვნით. მოპასუხემ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო 2017 წელს და მან შუამდგომლობით მიმართა ყაზახეთის საოლქო სასამართლოს – საქმე გადმოეგზავნათ მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის გათვალისწინებით საქართველოში, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში;

6.2. შუამდგომლობა ეწინააღმდეგება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და 72-ე მუხლის მე-2 პუნქტს;

6.3. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად,



52-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ იგი ან მისი რწმუნებული დროულად ან ჯეროვნად არ იყო ინფორმირებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში მონინაალმდეგე მხარეს მხოლოდ ორჯერ გაეგზავნა უწყება იმ მისამართზე, სადაც იგი არ ცხოვრობდა. ყაზახეთის სასამართლოს უწყების ჩაბარება შსს-სთვის რომ დაევალებინა, ცალსახად გახდებოდა ცნობილი, რომ მონინაალმდეგე მხარე საცხოვრებლად ცოლ-შვილით წამოსული იყო საქართველოში და არ განელდებოდა მისი მოძებნა, რაც შემდგომ გააკეთა ყაზახეთის სააღსრულებო დანესებულებამ. გარდა ამისა, სასამართლოს საჯარო შეტყობინება არ გაუკეთებია.

7. მონინაალმდეგე მხარის ადვოკატის ბ. მ-ის განმარტებით (იხ. 2019 წლის 12 აპრილის განცხადება), მოსარჩელის მიერ ხელმოწერის გაყალბების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

**8. მონინაალმდეგე მხარის საპასუხოდ, 2019 წლის 31 მაისს შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა განცხადება და განმარტა შემდეგი:**

8.1. სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ არ აღძრულა, რაც დასტურდება პოლიციის მიერ გაცემული წერილით;

8.2. ჩრდილოეთ-ყაზახეთის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 ივნისის დადგენილებით ყიზილჯარის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა, როგორც უკანონო და 2018 წლის 18 იანვრის ექსპერტის დასკვნა №912 ცნობილ იქნა დაუშვებელ და არასარწმუნო მტკიცებულებად;

8.3. ჩრდილოეთ-ყაზახეთის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 ივნისის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ყიზილჯარის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ჩაიდინა დარღვევა და არ მიიღო ხელმოწერისა და ხელწერის ნიმუშები სასამართლოს სხდომაზე თავად მონინაალმდეგე მხარისგან. ამის ნაცვლად, ექსპერტს გაუგზავნა მოპასუხისგან ფოტოტიპით მიღებული და საქართველოს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ნიმუშები, რაც საპროცესო კანონით არ არის გათვალისწინებული და დაუშვებელია.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 მაისის განჩინებით დადგინდა შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვა. ზეპირი სხდომა გაიმართა 2019 წლის 5 ივნისს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

10. საქართველოს უზენაესი სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს, მოისმინა მონინალმდეგე მხარის ზეპირი ახსნა-განმარტება, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

11. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68.5 პუნქტი], ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება [„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70.3 მუხლი].

12. მონინალმდეგე მხარე მის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებითა და ზეპირ სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით სადავოდ ხდის ქალაქ პეტროპავლოვსკის №2 სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის სხდომის თაობაზე მისი ინფორმირებულობის საკითხს.

13. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

14. მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, 52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად ან ჯეროვანი წესით არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება. ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის იმავე საფუძველს შეიცავს „საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ“ ხელშეკრულების (შემდგომში – „ორმხრივი ხელშეკრულება“) 26-ე მუხლის 1.3 ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, გარდა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, უარი შეიძლება ერთ-ერთ შემთხვევაში: თუ მხარეს, რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში, გადაწყვეტილების გამომტანი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჩაბარდა უწყება სასამართლოში

გამოცხადების შესახებ ანდა მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში, არ მონაწილეობდა მისი შესაბამისი წარმომადგენელი.

15. საცნობი გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხე სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა, სასამართლოსთვის უცნობია მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რის გამოც, სასამართლომ, იხელმძღვანელა რა ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილით, შესაძლებლად მიიჩნია საქმის განხილვა მოპასუხის დაუსწრებლად უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შუამდგომლობაზე თანდართული ქალაქ პეტროპავლოვსკის №2 სასამართლოს ცნობით დასტურდება, რომ, ვინაიდან უცნობი იყო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი, საქმე განხილულ იქნა ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოპასუხის უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილის აღმასრულებელი ორგანოსთვის – ჩრდილოეთ-ყაზახეთის ოლქის ქალაქ პეტროპავლოვსკის აკიმატისთვის, შეტყობინებით. საქმის მასალებით ირკვევა ისიც, რომ საცნობი გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით, რომელშიც უთითებდა, რომ სასამართლომ საქმე განიხილა მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუმცა სარჩელში მითითებულ მისამართზე ის არ ცხოვრობდა. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ-ყაზახეთის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 ივნისის დადგენილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საცნობი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. დასახელებული დადგენილების თანახმად, მოპასუხის საჩივარში ასახული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ საქმე განიხილა მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუმცა სარჩელში მითითებულ მისამართზე იგი არ ცხოვრობდა, დაუსაბუთებელია. 2015 წლის 17 მარტის ერთიანი ავტომატიზირებული საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემის მონაცემების ელექტრონული მოთხოვნის თაობაზე ანგარიშის მიხედვით, 1977 წლის 2 მაისს დაბადებული მ. ი. უ-ი დარეგისტრირებულია მისამართზე: ჩრდილოეთ-ყაზახეთის ოლქი, ქალაქი პეტროპავლოვსკი, მ. ქუჩა, სახლი №..., ბინა №... მოპასუხე მ. ი. უ-ს მითითებულ მისამართზე ეგზავნებოდა სასამართლო უწყება 2015 წლის 17 მარტს, 9 საათსა და 00 წუთზე სასამართლოში გამოძახების თაობაზე, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მითითებულ მისამართზე მოპასუხე არ ცხოვრობდა, სასამართლო უწყება სასამართლოში შევიდა წარწერითა და ბეჭდით, რომლითაც დასტურდებოდა მისი მიღება ქალაქ პეტროპავლოვსკის აკიმატის მიერ, რის გამოც პირველი ინ-

სტანციის სასამართლომ მართლზომიერად განიხილა საქმე მოპასუხის უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საბოლოოდ, საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული დადგენილებიდან ირკვევა, რომ იგი კანონიერ ძალაში შევიდა მისი გამოცხადებისთანავე და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო უწყების ჩაბარების საკითხი რეგულირდება იმ ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც განიხილავს მხარეთა შორის წარმოშობილ დავას (იხ. სუსგ №ა-1997-შ-48-2018, 5 ნოემბერი, 2018 წელი). აღნიშნულზე ასევე პირდაპირ მიუთითებს ორმხრივი ხელშეკრულება (იხ. წინამდებარე განჩინების მე-14 პუნქტი).

17. მოცემულ შემთხვევაში საქმის განმხილველმა ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლომ საკუთარი საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე შეამოწმა მოპასუხის უკანასკნელი ცნობილი მისამართის მიხედვით უწყების ჩაბარების საკითხი და საცნობი გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია, რაც ქმნის პრეზუმფციას, რომ მოწინააღმდეგე მხარე მ. ი. ძე უ-ი სათანადო წესით იყო ინფორმირებული 2015 წლის 17 მარტის სასამართლოს სხდომაზე გამოძახების თაობაზე.

18. მოპასუხემ ვერ დაამტკიცა, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ დაარღვია ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უწყების ჩაბარების წესები. მოწინააღმდეგე მხარემ ვერ მიუთითა ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კონკრეტულად რომელი ნორმა იქნა დარღვეული მისთვის უწყების ჩაბარებისას. პირიქით, მის მიერ ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ-ყაზახეთის საოლქო სასამართლოში წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვისას დადგენილია ამ ნაწილში საცნობი გადაწყვეტილების კანონიერება.

19. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, უსაფუძვლოა მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზია, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლოს უწყების ჩაბარება შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უნდა დაევალებინა (რა შემთხვევაშიც ცნობილი გახდებოდა მოპასუხის საქართველოში ცხოვრების ფაქტობრივი გარემოება) და, ამასთან, საჯარო შეტყობინებაც უნდა გაეკეთებინა. სამოქალაქო საქმეთა პალატა აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს უნდა მიეთითებინა ამ საფუძველით საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დარღვევაზე და დაედასტურებინა იგი სათანადო

ნადო მტკიცებულების წარმოდგენის გზით, რაც მას არ განუხორციელებია. მაგალითად, მონინალმდევე მხარეს უნდა დაემტკიცებინა, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობა ავალდებულებს სასამართლოს მოპასუხის მოძებნას შსს-ის მეშვეობით ან მხარის ინფორმირებულად მიჩნევას მხოლოდ საჯარო შეტყობინების გზით, რაც მას არ გაუკეთებია.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა პალატა მიუთითებს, რომ უწყების ჩაბარებულად მიჩნევა ქალაქ პეტროპავლოვსკის აღმასრულებელი ორგანოსთვის (აკიმატისთვის) შეტყობინების მეშვეობით შეიძლება განხილულ იქნეს იმგვარ გამონაკლისად, როდესაც მხარე ინფორმირებულად მიჩნევა მისთვის უწყების პირადად ჩაუბარებლობის შემთხვევაში. მსგავსი გამონაკლისის არსებობა გათვალისწინებულია ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, სსსკ-ის 78-ე მუხლით [თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით].

21. გამომდინარე იქიდან, რომ მხარის მითითებით, იგი საქმის განხილვის დროს არ იმყოფებოდა ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ცხოვრობდა საქართველოში, ვერ იქნება გაზიარებული მისი მოსაზრება, რომ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოსთვის შეტყობინების ნაცვლად, უწყების საჯარო შეტყობინების გზით გავრცელებით უკეთესად იქნებოდა მიღწეული მისი სათანადო წესით ინფორმირების მიზანი. იგივე შეიძლება ითქვას მოპასუხის პრეტენზიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დავალების შესახებ. მოპასუხემ ვერ დაადასტურა, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უწყების ჩაბარების დავალება ასევე გულისხმობდა მოპასუხის ადგილსამყოფელის დადგენას, მის მოძებნას, რაც ეფექტურს გახდიდა აღნიშნული ღონისძიების გამოყენებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ხელმძღვანელობის შემთხვევაში, აღნიშნული კოდექსის 73.7 მუხლი [თუ მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე მონმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარ-

ჯიმნებს ამ კოდექსით დადგენილი წესით ვერ ეცნობათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, მოსამართლეს შეუძლია აღნიშნული პირებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება განჩინებით დაავალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებს (უბნის ინსპექტორებს). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან/და უბნის ინსპექტორები ვალდებული არიან, განჩინებით დადგენილ ვადაში უზრუნველყონ მხარეებისათვის, მათი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე მონაწილეთაათვის, ექსპერტებისათვის, სპეციალისტებისა და თარჯიმნებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება და მისი ჩაბარების, ჩაბარების შეუძლებლობის მიზეზების ან ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აცნობონ მოსამართლეს] სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებისას არ ითვალისწინებს მოპასუხის ძებნას და იგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის უწყების ჩაბარების დავალების მსგავს ინსტიტუტს წარმოადგენს. მოპასუხის ძებნა შესაძლებელია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში [სსსკ-ის 51-ე მუხლი: მოპასუხის მოძებნა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით, წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და გადახდება, შესაბამისად, მოპასუხეს – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ხოლო მოვალეს – გადაწყვეტილების აღსრულების დროს. მოვალეს გადახდება აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები] და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე [„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი: როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია, ან როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით, რომლის საფუძველზედაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნისა და მოყვანის შესახებ].

22. დაუსაბუთებელია ასევე მონინალმდევე მხარის ახსნა-განმარტება, რომ მოსარჩელისთვის კარგად იყო ცნობილი მისი საქართველოში ცხოვრების ფაქტის შესახებ და მოსარჩელემ შეგნებულად არ მიუთითა და არ აცნობა სასამართლოს მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. მხარემ ვერ წარმოადგინა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელემ იცოდა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი და სარჩელში მოპასუხის არასწორი მისამართი მიუთითა. მონინალმდევე მხარის მხოლოდ ზეპირი თუ წერილობითი ახსნა-განმარტებით სადავო გარემოება ვერ

დადასტურდება.

23. რაც შეეხება მოპასუხის შედავებას, რომ ვალის აღების შე-სახებ ხელწერილი, რომელიც საფუძვლად დაედო საცნობ გადან-ყვეტილებას, გაყალბებულია, ასევე უარსაყოფია. საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ საერთაშორისო სამარ-თლებრივ ბრუნვაში მრავალი ქვეყანა მისდევს revizion au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც უარყოფს უც-ხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადან-ყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას (იხ. სუსგ №ა-952-შ-23-2016, 6 ივლისი, 2015 წელი). აღნიშნული პრინციპის გათვალისწი-ნებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხო ქვეყ-ნის სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორია-ზე ცნობისა და აღსრულების საკითხის გადანყვეტისას არ ხდება საცნობი გადანყვეტილების სამართლებრივი გამართულობის შე-მოწმება და მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ხელმეორედ არ-სებითი განხილვა. სასამართლო ამოწმებს მხოლოდ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა-არარსებობის საკითხს.

24. ზემოაღნიშნულ პრინციპს ითვალისწინებს ორმხრივი ხელ-შეკრულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, სასა-მართლო, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა, არ განიხილავს გადანყვეტილებას არსებითად, არამედ განიხილავს მხოლოდ მის წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლო ყურადღებას მიაქ-ცევს იმ გარემოებასაც, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ხელწერილის ნამდვილობის საკითხი სადავო გახადა ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლოში. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოწინა-აღმდეგე მხარემ 2017 წლის 5 ოქტომბერს აღძრა სამოქალაქო სარ-ჩელი ფულადი სახსრების სესხის გარიგების ბათილად ცნობის მოთ-ხოვნით, თუმცა, ჩრდილოეთ-ყაზახეთის საოლქო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 ივნისის დადგენილე-ბით ყიზილჯარის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 თებერ-ვლის გადანყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, გა-უქმდა და, საბოლოოდ, სარჩელი უარყოფილ იქნა. აღნიშნული დად-გენილება შევიდა კანონიერ ძალაში გამოცხადებისთანავე და გა-საჩივრებას არ ექვემდებარება.

26. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ მოსარჩელის მიერ ფულადი სახსრების სესხების შესახებ ხელწერილის გაყალბების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ საცნობი გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძა-

ლაში და ექვემდებარება აღსრულებას. საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხემ ვერ წარმოადგინა. ამასთან, მოპასუხე ვერც იმას უთითებს, თუ როგორი სამოქალაქო საპროცესო წესრიგი არის დადგენილი ყაზახეთის რესპუბლიკაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გასაუქმებლად [მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: 52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, იგი ძალაში არ შესულა ან არ ექვემდებარება აღსრულებას, იმ შემთხვევების გარდა, როცა გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას ძალაში შესვლამდე]. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებას ან შეცვლას ითვალისწინებს მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში [სსსკ-ის 265-ე მუხლი: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით. სსსკ-ის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები]. მითითება იმ გარემოებაზე, რომ ხელწერილის გაყალბების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, ვერ დააბრკოლებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება არა თუ ის გარემოება, რომ საცნობი გადაწყვეტილება გაუქმებულია, არამედ არ არსებობს ხელწერილის გაყალბების ფაქტზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი [სსსკ-ის 423.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია. 423.2 მუხლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი].



27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხემ ვერ დაამტკიცა მინსკის კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობა.

28. მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

29. ამდენად, წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს მინსკის კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, ამასთან, არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები არსებობს. შესაბამისად, ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ-ყაზახეთის ოლქის ქალაქ პეტროპავლოვსკის №2 სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე-55-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. უ. ძე ჟ-ის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ-ყაზახეთის ოლქის ქალაქ პეტროპავლოვსკის №2 სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ-ყაზახეთის ოლქის ქალაქ პეტროპავლოვსკის №2 სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ი. ძე უ-ს ს. უ. ძე ჟ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 050 000 (ერთი მილიონ ორმოცდაათი ათა-

სი) ტენგეს ოდენობით ვალის და სახელმწიფო ბაჟის – 10 500 (ათი ათას ხუთასი) ტენგეს გადახდისთვის ხარჯის, სულ 1 060 500 (ერთი მილიონ სამოცი ათას ხუთასი) ტენგეს გადახდა;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **თანხის დაკისრება**

### **განჩინება საქართველოს სასამართლო**

№ა-4285-შ-127-2019

12 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაძური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** თანხის გადახდის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-ს“ სააქციო საზოგადოება „ს-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 2018 წლის 27 მარტის №009 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, საქონლის ღირებულების სახით 3 500 აშშ დოლარის ოდენობით, გამოსატული რუსეთის ფედერაციის ვალუტაში, ფაქტობრივი გადახდის დღეს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის კურსით, ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ხარჯები 7 627 რუბლისა და 00 კაპიკის ოდენობით.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2019 წლის 20 სექტემბრის №13848 წერილით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის შესაბამისად, შემდგომი რეაგირებისათვის გადმოგზავნა სააქციო საზოგადოება „ს-ს“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვე-

ტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე, რომლითაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-ს“ დაეკისრა თანხის გადახდა.

3. რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებით დგინდება, რომ ამავე სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება (სარეზოლუციო ნაწილის სახით) გასაჩივრებული არ ყოფილა და კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 22 აპრილს, ამასთან, ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას; მოპასუხე საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე სათანადო წესით და დროულად იყო ინფორმირებული; გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და სააღსრულებო ფურცელი იძულებითი გადახდევის მიზნით არ გაცემულა.

4. შუამდგომლობაზე თანდართული 2018 წლის 27 მარტის №009 ხელშეკრულების 9.3. პუნქტიდან ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმებული იყვნენ დავის წარმოშობის შემთხვევაში კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს განსჯადობასა და ასევე რუსეთის ფედერაციის სამართლის გამოყენების თაობაზე.

5. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი.“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (ს/კ: ...) (აღნიშნული ასევე დასტურდება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (...)).

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით სააქციო საზოგადოება „ს-ს“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინების ასლი და სააქციო საზოგადოება „ს-ს“ შუამდგომლობა თანდართულ მასალებთან ერთად მონინალმდევე მხარეს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-ს“ გაეგზავნა საქმის მასალებში არსებულ მისამართზე (კომპანიის სარეგისტრაციო მისამართზე) – თბილისი, ... . სასამართლო გზავნილი ადრესატს ჩაბარდა 2019 წლის 24 ოქტომბერს.

8. ზემოაღნიშნული განჩინებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-ს“ განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში ჰქონდა შუამდგომლობაზე თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე შეეძლო საქმის ზეპირი განხილ-

ვის მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

9. 2019 წლის 25 ოქტომბერს მონინააღმდეგე მხარის დირექტორმა – ა. ც-ძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა განმარტება, რომლითაც დაადასტურა სააქციო საზოგადოება „ს-სთან“ გაფორმებული ხელშეკრულების არსებობა და მიუთითა, რომ კომპანია ხელშეკრულების საფასურის გადახდას ვერ ახერხებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-ს“ მეორე დირექტორის, ი. ა-ის ქმედებების გამო და მოითხოვა მისი განვევა თანადირექტორობიდან, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-სთვის“ მიყენებული ზიანის დაკისრება. მონინააღმდეგე მხარის დირექტორმა – ა. ც-ძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2019 წლის 10 დეკემბერს დამატებით წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა ი. ა-ის გათავისუფლება შპს „ი-ს“ დირექტორის თანამდებობიდან და კანონის შესაბამისად მისი დასჯა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

10. საქართველოს უზენაესი სასამართლო სააქციო საზოგადოება „ს-ს“ შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტი თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

12. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

13. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღ-

სრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების თაობაზე.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, ამასთან, არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები არსებობს.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-ს“ სააქციო საზოგადოება „ს-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 2018 წლის 27 მარტის №009 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, საქონლის ღირებულების სახით 3 500 აშშ დოლარის ოდენობით, გამოხატული რუსეთის ფედერაციის ვალუტაში, ფაქტობრივი გადახდის დღეს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის კურსით, ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ხარჯები 7 627 რუბლისა და 00 კაპიკის ოდენობით. გადაწყვეტილება (სარეზოლუციო ნაწილის სახით) გასაჩივრებული არ ყოფილა და კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 22 აპრილს, ამასთან, ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას; მოპასუხე საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე სათანადო წესით და დროულად იყო ინფორმირებული; გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და სააღსრულებო ფურცელი იძულებითი გადახდევინების მიზნით არ გაცემულა. მოპასუხე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) და მისი სარეგისტრაციო მისამართია ქ. თბილისის, ... .

16. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს შეუძლიათ განიხილონ საქმეები სხვა შემთხვევებშიც, თუ არსებობს მხარეთა წერილობითი შეთანხმება სასამართლოებისთვის დავის გადაცემის შესახებ. ამასთან, განსაკუთრებული კომპეტენცია, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტიდან და მეორე კარის II-V ნაწილებით დადგენილი ნორმებიდან, აგრეთვე შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის შიდა კანონმდებლობიდან, არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს საქმეში არსებულ 2018 წლის 27 მარტის №009 ხელშეკრულებაზე, რომლის 9.3 პუნქტიდან ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმებული იყვნენ დავის წარმოშობის შემთხვევაში კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს განსჯადობასა და ასევე რუსეთის ფედერაციის სამართლის გამოყენების თაობაზე. ამასთან, სამოქალაქო საქმეთა პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის წარმოშობილ დავაზე არ ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

18. რაც შეეხება მონინალმდეგე მხარის დირექტორის – ა. ც-ძის მიერ წარმოდგენილ განმარტებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტში მითითებული გარემოებები ვერ შეუშლის ხელს რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, ამასთანავე მონინალმდეგე მხარის დირექტორის – ა. ც-ძის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები არ წარმოადგენს წინამდებარე დავის განხილვის საგანს, თუმცა მას აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით, დამოუკიდებელი სარჩელი აღძრას სასამართლოში შპს „ი-ს“ დირექტორის პასუხისმგებლობის თაობაზე.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს რა კონვენციით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში, მიიჩნევს, რომ დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და იძულებითი აღსრულების შესახებ.

20. ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-ს“ სააქციო საზოგადოება „ს-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 2018 წლის 27 მარტის №009 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, საქონლის ღირებულების სახით 3 500 აშშ დოლარის ოდენობით, გამოხატული რუსეთის ფედერაციის ვალუტაში, ფაქტობრივი გადახდის დღეს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის კურსით, ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ხარჯები 7 627 რუბლისა და 00 კაპიკის ოდენობით უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამარ-

თლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 21-ე, 53-ე-55-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 70-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სააქციო საზოგადოება „ს-ის“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას რუსეთის ფედერაციის კურსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ი-ს“ სააქციო საზოგადოება „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2018 წლის 27 მარტის №009 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, საქონლის ღირებულების სახით 3 500 აშშ დოლარის ოდენობით, გამოხატული რუსეთის ფედერაციის ვალუტაში, ფაქტობრივი გადახდის დღეს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის კურსით, ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ხარჯები 7 627 რუბლისა და 00 კაპიკის ოდენობით;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ზიანის ანაზღაურება

## ბანკინება საქართველოს სახელით

№ა-3271-შ-90-2019

19 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პა-  
ლატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო  
სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატას-  
თან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო  
სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით:**

1.1. შეწყვეტილად იქნა ცნობილი 2017 წლის 1 მარტს, შპს „პ. ე-  
სა“ და სს „ვ. ა-ოს“ შორის დადებული ხელშეკრულება №01/268/  
2017, 2017 წლის 6 სექტემბრიდან, სს „ვ. ა-ოს“ მიერ მისი გაუქმე-  
ბის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან.

1.2. სს „ვ. ა-ოდან“ შპს „პ. ე-ის“ სასარგებლოდ ამოღებულ იქნა:

1.2.1 უკანონოდ დაკავებული საქონლისათვის წინასწარ გადახ-  
დილი თანხა, 36 645.77 (ოცდათექვსმეტი ათას ექვსას ორმოცდა-  
ხუთი აშშ დოლარი და 77 ცენტი) აშშ დოლარის ოდენობით;

1.2.2. 2017 წლის მარტის კონტრაქტთან N01/268/2017 შეუსა-  
ბამო საქონლის ღირებულება, 27 549.39 (ოცდაშვიდი ათას ხუთას  
ორმოცდაცხრა აშშ დოლარი და 39 ცენტი) აშშ დოლარის ოდენო-  
ბით;

1.2.3. ზარალი, რომელიც მიიღო შპს „პ. ე-მა“, საბაჟო ორგანო-  
სათვის გაუქმებული სატარიფო პრეფერენციების გადახდით, 10  
530.50 (ათი ათას ხუთას ოცდაათი აშშ დოლარი და 50 ცენტი) აშშ  
დოლარის ოდენობით.

2. შპს „პ. ე-მა“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზე-  
ნაეს სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.



3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად. აღნიშნული შუამდგომლობისა და მისი წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების ასლები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და ჩაბარდა მონინალმდგე მხარეს, რომელმაც წარმოადგინა მოსაზრება და მიუთითა, რომ მოპასუხე მხარე საქმის განხილვის ეტაპზე არგუმენტირებულად არ ეთანხმებოდა მოთხოვნას, რასთან დაკავშირებითაც წარადგინა შესაბამისი შესაგებელი, თუმცა ინტერესების სათანადო დაცვა ვერ შეძლო არბიტრაჟის ადგილსამყოფელიდან გამომდინარე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup>-ე მუხლის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით. არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე კოდექსის 356<sup>13</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ამ კარის მიხედვით სასამართლო განიხილავს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საქმეებს. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება საქართველოს უზენაესი სასამართლო (სასამართლოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებით ანალოგიურ დანაწესს ადგენს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71<sup>1</sup>-ე მუხლი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>22</sup>-ე მუხლი). ამავე ნორმის მე-2 პუნქტი ადგენს იმ სავალდებულო წინაპირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ (იხ. ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>20</sup>-ე და 356<sup>21</sup>-ე (1) მუხლები).

5. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობა აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლით ირკვევა შემდეგი:

ა) 2017 წლის 01 მარტს დადებული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის მეგობრული მოლაპარაკებით დასრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, სადავო საქმე გადაეცემოდა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს; არბიტრაჟის ჩატარების ადგილი იქნებოდა ქ. მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია და საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაითვლებოდა საბოლოოდ და სავალდებულო ძალის მქონედ ორივე მხარისათვის;

ბ) თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოპასუხე (საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი) ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, მას ჩაბარდა საარბიტრაჟო პრეტენზია და საქმის მასალები, წარადგინა შესაგებელი, თუმცა, საარბიტრაჟო განხილვას არ დასწრებია;

გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა;

დ) საინარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „ვ. ა-ო“ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია.

6. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება, უარი ეთქვას ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ: ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ: ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდაჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია; ა.ბ) იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები; ა.გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტ-

რაჟში არ წარადგინეს ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს; ა.დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა; ა.ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ან/და იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი; ბ) სასამართლო დაადგენს, რომ: ბ.ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაეა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი; ბ.ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

7. საკასაციო პალატა მიუთითებს მონინალმდევე მხარის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებაზე, რომ არ ეთანხმებოდა წარდგენილ მოთხოვნას და განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო დავას არსებითად არ იხილავს, იხილავს მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და მისი აღსრულების საკითხს და იკვლევს, ხომ არ განხორციელდა საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვა ისეთი საპროცესო დარღვევებით, რომლებიც გათვალისწინებულია 45-ე მუხლით და გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას გამოორიცხავს. ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ მოპასუხემ უნდა მიუთითოს და წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. მონინალმდევე მხარის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მოსაზრება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსაბუთებელია, კერძოდ, საკასაციო პალატა არ იზიარებს მის მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ რაკი მან წარადგინა შესაგებელი და არ ეთანხმებოდა საარბიტრაჟო მოთხოვნას, ამიტომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს. პალატა ასევე არ გაიზიარებს მონინალმდევე მხარის მოსაზრებას, რომ ვერ შეძლო სათანადო დაცვა, არბიტრაჟის ადგილსამყოფელიდან გამომდინარე და მიუთითებს, რომ არ-

ბიტრაჟის ადგილსამყოფელზე მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების დადებისას და საარბიტრაჟო სარჩელის განხილვის დროის შესახებ ინფორმირებული იყო მონინალმდებელ მხარე.

8. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე – „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის კონვენციის მე-4, მე-5 მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>22</sup>-ე მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტების შესაბამისად, წინამდებარე განჩინების აღსრულების მიზნით უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დაკმაყოფილდა შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, შპს „ვ. ა-ოს“ (...) შუამდგომლობის ავტორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი ბაჟის – 150 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 356<sup>12</sup>-ე, 356<sup>13</sup>-ე, 356<sup>20</sup>-ე, 356<sup>22</sup>-ე მუხლებით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 45-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup>-ე მუხლით, „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის კონვენციის მე-4, მე-5 მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ვ. ე-ის“ (...) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო

სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, რომლი-  
თაც:

2.1. შეწყვეტილად იქნა ცნობილი 2017 წლის 1 მარტს, შპს „პ. ე-  
სა“ და სს „გ. ა-ოს“ შორის დადებული ხელშეკრულება №..., 2017  
წლის 6 სექტემბრიდან, სს „გ. ა-ოს“ მიერ მისი გაუქმების შესახებ  
შეტყობინების მიღების მომენტიდან;

2.2. სს „გ. ა-ოდან“ შპს „პ. ე-ის“ სასარგებლოდ ამოღებულ იქნა:

2.2.1. უკანონოდ დაკავებული საქონლისათვის წინასწარ გადახ-  
დილი თანხა, 36 645.77 (ოცდათექვსმეტი ათას ექვსას ორმოცდა-  
ხუთი აშშ დოლარი და 77 ცენტი) აშშ დოლარის ოდენობით;

2.2.2. 2017 წლის მარტის კონტრაქტთან №... შეუსაბამო საქონ-  
ლის ღირებულება, 27 549.39 (ოცდაშვიდი ათას ხუთას ორმოცდაც-  
ხრა აშშ დოლარი და 39 ცენტი) აშშ დოლარის ოდენობით;

2.2.3 ზარალი, რომელიც მიიღო შპს „პ. ე-მა“, საბაჟო ორგანო-  
სათვის გაუქმებული სატარიფო პრეფერენციების გადახდით, 10  
530.50 (ათი ათას ხუთას ოცდაათი აშშ დოლარი და 50 ცენტი) აშშ  
დოლარის ოდენობით.

3. შპს „გ. ა-ოს“ (...) შპს „პ. ე-ის“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ  
უკანასკნელის მიერ რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო  
პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრა-  
ჟო სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შუამდგომლობის გა-  
მო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის ანაზღაურება.

4. წინამდებარე განჩინებაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-  
რდება.

## მორიგება

### ბანკინება საქართველოს სასხელით

№ა-2480-შ-68-2018

20 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ლიეტუვის (ლიტვის) რესპუბლიკის, შირვინტოსის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 აგვისტოს განჩინებით სს „ბ. ფ.“ (B. F.) სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, მოპასუხე შპს „... და ... ა.“ (ს/კ №4..., რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ვარკეთილი ..., მე-4 მ/რ, კორპ №..., ბინა №...) სს „ბ. ფ.“ (B. F., კომპანიის კოდი №1...) სასარგებლოდ, დაეკისრა დავალიანების – 13 090,32 ევროს, ვადაგადაცილებასთან დაკავშირებით დარიცხული პროცენტის – 4 958,17 ევროს, გადასახდელ თანხაზე დარიცხული წლიური 6%-ის (18 048,49 ევრო) სასამართლოში საქმის წარმოების დაწყების დღიდან – 2015 წლის 14 ნოემბრიდან გადანყვეტილების სრულად აღსრულებამდე და ასევე, სასამართლო ხარჯის 1 104,42 ევროს გადახდა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა სს „ბ. ფ.“ (B. F.) წარმომადგენელმა და მოითხოვა ზემოხსენებული გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქვევა. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტებისა და მათი ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით ირკვევა შემდეგი:

ა) მოპასუხე გაფრთხილებილი იყო საქმის განხილვის თაობაზე, მას ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე, წერილობით განემარტა საკუთარი საპროცესო უფლებები. გარდა ამისა, ელ. ფოსტის მეშვეობით ეცნობა სასამართლო სხდომის თაობაზე. სარჩელის წინააღმდეგ მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი, ასევე, ელ. ფოსტით გაუგზავნა უცხო ქვეყნის კომპეტენტურ სასამართლოში საპასუხო შეტყობინება, თუმცა სასამართლო სხდო-

მაზე არ გამოცხადებულა და არც საპროცესო წარმომადგენელი დაუნიშნავს;

ბ) დავა გამომდინარეობს მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების ასლით კი, ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ, როგორც სასამართლოს კომპეტენციაზე, ისე – სამართალზე;

გ) გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებასაც მხარე მოითხოვს 2016 წლის 26 სექტემბრიდან შესული კანონიერ ძალაში და მისი გამომტანი ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა;

დ) მოწინააღმდეგე მხარე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისს შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად და ხსენებული განჩინება საქმის მასალებთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა და ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელმაც ითხოვა საქმის ზეპირი განხილვა.

4. 2018 წლის 20 ივლისის სხდომაზე მხარეთა შორის მიღწეულ იქნა მორიგება, შესაბამისად, მათ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს მიღწეული პირობებით მორიგების დამტკიცების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მოისმინა მათი პოზიციები, თვლის, რომ შუამდგომლობა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და დასაკმაყოფილებელია, რის გამოც მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. მორიგების თაობაზე მხარეთა შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის დასაბუთება:**

1.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის სხდომაზე მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას დავის მორიგებით დასრულების თაობაზე, სასამართლო სხდომაზე განსაზღვრეს ამ მორიგების პირობები და მხარი დაუჭირეს მის შემდგომი სახით დამტკიცებას:

ა) შპს „... და ... ა.“ (ს/კ №4...) სს „ბ. ფ.“ (B. F. ს/კ №1...) 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევროს გადაუხდის არა უგვიანეს 2018 წლის 30 სექტემბრისა;

ბ) თუ თანხა (15 000 ევრო) სრულად არ იქნება გადახდილი 2018 წლის 1 ოქტომბრამდე შპს „... და ... ა.“ (ს/კ №4...) სრულად იქნება

პასუხისმგებელი, აანაზღაუროს ლიტვის (ლიეტუას) რესპუბლიკის, შირვინტოსის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით (განჩინებით) დაკისრებული თანხები (დავალი-ანება – 13 090,32 ევრო, ვადაგადაცილებასთან დაკავშირებით დარიცხული პროცენტი – 4 958,17 ევრო, ასევე, სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებიდან, 2015 წლის 14 ნოემბრიდან გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე გადასახდელ თანხაზე დარიცხული წლიური 6% (18 048,49 ევრო) და სასამართლო ხარჯები – 1 104,42 ევრო).

1.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68.5 და 70.3 მუხლების შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. ამდენად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა ხდება ყველა იმ საპროცესო პრინციპის დაცვით, რაც ეროვნული საპროცესო კანონმდებლობითაა დადგენილი.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილითა და 83-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებულია მხარეთა უფლება, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დავა მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმებით აღიარებულია მოდავე მხარეთა შესაძლებლობა, გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, თავად გადაწყვიტონ სარჩელის ბედი.

1.4. საკასაციო პალატამ შეამოწმა მორიგების აქტზე ხელმომწერ პირთა უფლებამოსილება და მიიჩნევს, რომ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი, შესაბამისად, უნდა განემარტოთ მხარეებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო



კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე (5), 70-ე (3) მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი, მე-3, 83-ე, 272-ე, 273-ე, 284-ე, 285-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მხარეთა შუამდგომლობა დავის მორიგების გზით დასრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. დამტკიცდეს მორიგება სს „ბ. ფ.“ და შპს „... და ... ა.“ შორის შემდეგი პირობებით:

ა) შპს „... და ... ა.“ (ს/კ №4...) სს „ბ. ფ.“ (B. F. ს/კ №1...) 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევროს გადაუხდის არა უგვიანეს 2018 წლის 30 სექტემბრისა;

ბ) თუ თანხა (15 000 ევრო) სრულად არ იქნება გადახდილი 2018 წლის 1 ოქტომბრამდე შპს „... და ... ა.“ (ს/კ №4...) სრულად იქნება პასუხისმგებელი ანაზღაუროს ლიტვის (ლიეტუას) რესპუბლიკის, შირვინტოსის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით (განჩინებით) დაკისრებული თანხები (დავალიანება – 13 090,32 ევრო, ვადაგადაცილებასთან დაკავშირებით დარიცხული პროცენტი – 4 958,17 ევრო, ასევე, სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებიდან, 2015 წლის 14 ნოემბრიდან გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე გადასახდელ თანხაზე დარიცხული წლიური 6% (18 048,49 ევრო) და სასამართლო ხარჯები – 1 104,42 ევრო).

3. შეწყდეს წარმოება სს „ბ. ფ.“ (B. F., ყოფილი M. ...) შუამდგომლობაზე შპს „... და ... ა.“ მიმართ ლიტვის რესპუბლიკის, შირვინტოსის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების (განჩინების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

4. განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება საქართველოს სასჯელით**

№ა-5852-შ-143-2018

22 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი: განქორწინება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით მ. გ-ესა და ნ. პ-უს შორის ქ. თბილისის ქორწინების სახლში 1998 წლის 8 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №8...) შეწყდა.

მ. გ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით და მოწმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე (განხილულია ზეპირი მოსმენით), დასტურდება, რომ საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. შუამდგომლობაზე დართული პასპორტის ასლი დასტურდება, რომ მ. გ-ე საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის განჩინებით მ. გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნა

ნეცს, რომ მ. გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით მ. გ-ესა და ნ. პ-უს შორის ქ. თბილისის ქორწინების სახლში 1998 წლის 8 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №8...) შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. შუამდგომლობაზე დართული პასპორტის ასლით დასტურდება, რომ მ. გ-ე საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის სალონიკის მრავალწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. გ-ესა და ნ. პ-

უს შორის ქ. თბილისის ქორწინების სახლში 1998 წლის 8 სექტემბერს რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №8...) შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება საქართველოს სასამართლო**

№ა-2825-შ-78-2019

26 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი: განქორწინება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით რ. ფ-სა (ფ-ის) და ყ. მ-ას შორის გარდაბნის რაიონის სოლანლულის მმჩის განყოფილების მიერ 1972 წლის 20 დეკემბერს რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

რ. ფ-ის წარმომადგენელმა ნ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით დასტურდება, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა, შესაბამისად კანონიერ ძალაშია შესული. საბერძნეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ მაკედონია-თრაკიის მხარის გენერალური მდივნის 2004 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით (ოქმი №5733/2003) ბერძნული ეროვნების მქონე პირი რ. ფ-ის მიერ 2002 წლის 12

მარტს წარდგენილი მოთხოვნა საბერძნეთის მოქალაქეობის მიღების შესახებ დაკმაყოფილდა და რ. ფ-ს მიეკუთვნა გვარი „ფ-ის“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივნისის განჩინებით რ. ფ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ რ. ფ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით რ. ფ-სა (ფ-ის) და ყ. მ-ას შორის გარდაბნის რაიონის სოლანლულის მმჩის განყოფილების მიერ 1972 წლის 20 დეკემბერს რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა, შესაბამისად კანონიერ ძალაშია შესული. საბერძნეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ მაკედონია-თრაკიის მხარის გენერალური მდივნის 2004 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით (ოქმი №5733/2003) ბერძნული ეროვნების მქონე პირი რ. ფ-ის მიერ 2002 წლის 12 მარტს წარდგენილი მოთხოვნა საბერძნეთის მოქალაქეობის მიღების შესახებ დაკმაყოფილდა და რ. ფ-ს მიეკუთვნა გვარი „ფ-ის“.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, შუამდგომლობის ავტორი ამჟამად საბერძნეთის მოქალაქეა, მაგრამ ქორწინებისას იგი საქართველოს მოქალაქე იყო.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავდროულად მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც რ. ფ-სა (ფ-ის) და ჟ. მ-ას შორის გარდაბნის რაიონის სოლანლულის მმარჩის განყოფილების მიერ 1972 წლის 20 დეკემბერს რეგისტრირებული ქონება შეწყდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება იმავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევას, ამ საკითხს არეგულირებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამარ-

თლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორი გადაწყვეტილების აღსრულებას ასაბუთებს განქორწინების მოწმობის აღების სურვილით, რაც საკასაციო სასამართლოს მხრიდან ვერ იქნება მიჩნეული ნამდვილ იურიდიულ ინტერესად (სსსკ-ის 180-ე მუხლი), რადგანაც ზემოხსენებული კანონის 69-ე მუხლით მოწესრიგებულია ქორწინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი და ნორმის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც განქორწინების თაობაზე საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობით მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის დადგომაც სურს მხარეს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის მიმართ მხარეს არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რაც ამ ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რ. ფ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის რესპუბლიკის დრამას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა რ. ფ-სა (ფ-ის) და ყ. მ-ას შორის გარდაბნის რაიონის სოლანლულის მმარის განყოფილების მიერ 1972 წლის 20 დეკემბერს რეგისტრირებული ქორწინება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# განქორწინება

## განჩინება საქართველოს სასჯელით

№ა-4314-შ-128-2019

27 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. კანის დიდი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-სა (მეუღლის გვარი – ხ-ი) და გ. ხ-ს შორის შეწყდა საქართველოში, ქ. მცხეთის სამოქალაქო მდგომარეობის ოფიცრის წინაშე 1993 წლის 24 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება, ამავდროულად გადაწყვეტილებით განისაზღვრა მეუღლეთა ფულადი და მემკვიდრეობითი ინტერესები, ბავშვებთან ურთიერთობის საკითხები და სხვა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა გ. ხ-მა და მოითხოვა განქორწინების ნაწილში ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილების, ასევე, მისი სანოტარო წესით დამონმებული ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით ირკვევა შემდეგი:

ა) საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე (გ. ხ-ი წარმოადგენს მოპასუხე მხარეს, რომელსაც საკუთარი საპროცესო უფლებების დარღვევის ფაქტი სადავო არ გაუხდია);

ბ) წარმოდგენილი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (მასზე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი);

გ) შუამდგომლობის ავტორის პასპორტის ასლის თანახმად, გ. ხ-ი საქართველოს მოქალაქეა, ამასთანავე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ქორწინება რეგისტრირებულია საქართველოში.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-



თა პალატის 2019 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით გ. ხ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ გ. ხ-ის შუამდგომლობა განქორწინების ნაწილში კანის დიდი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. კანის დიდი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-სა (მეუღლის გვარი – ხ-ი) და გ. ხ-ს შორის შეწყდა საქართველოში, ქ. მცხეთის სამოქალაქო მდგომარეობის ოფიცრის წინაშე 1993 წლის 24 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება, ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა მეუღლეთა ფულადი და მემკვიდრეობითი ინტერესები, ბავშვებთან ურთიერთობის საკითხები და სხვა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა გ. ხ-მა და მოითხოვა განქორწინების ნაწილში ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების, ასევე, მისი სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით ირკვევა შემდეგი:

ა) საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე (გ. ხ-ი წარმოადგენს მოპასუხე მხარეს, რომელსაც საკუთარი საპროცესო უფლებების დარღვევის ფაქტი სადავო არ გაუხდია);

ბ) წარმოდგენილი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (მასზე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი);

გ) შუამდგომლობის ავტორის პასპორტის ასლის თანახმად, გ. ხ-ი საქართველოს მოქალაქეა, ამასთანავე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ქორწინება რეგისტრირებულია საქართველოში.

4. საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სასამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი, დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკ-

მაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმება მის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ მიიჩნევა; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

5. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილია გარკვეული შეზღუდვა, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე კანის დიდი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. ჩ-სა (მეუღლის გვარი – ხ-ი) და გ. ხ-ს შორის შეწყდა საქართველოში, ქ. მცხეთის სამოქალაქო მდგომარეობის ოფიცრის წინაშე 1993 წლის 24 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ხ-ის შუამდგომლობა განქორწინების ნაწილში კანის დიდი

ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე კანის დიდი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. ჩ-სა (მეუღლის გვარი – ხ-ი) და გ. ხ-ს შორის შეწყდა საქართველოში, ქ. მცხეთის სამოქალაქო მდგომარეობის ოფიცრის წინაშე 1993 წლის 24 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ა-169-შ-4-2020

13 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. კაკაბაძე  
ლ. მიქაბერიძე**

**დავის საგანი: განქორწინება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. უკრაინის, ქალაქ ხარკოვის, მოსკოვის რაიონის, 2016 წლის 11 ოქტომბრის №643/11913/16 გადაწყვეტილებით (შემდეგში: უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება), 1990 წლის 17 ნოემბერს, დნეპროპეტროვსკის ოლქის იუსტიციის სამმართველოს პირველი მაისის საქალაქო მმარის განყოფილების მიერ №235 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება, გ. ვ. ძე ს-ძესა (შემდეგში: შუამდგომლობის ავტორი) და ა. კ-ის ას. ს-ძეს შორის შეწყდა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს, 2020 წლის 17 იანვარს, შუამდგომლობით მომართა განმცხადებელმა და მოითხოვა განქორწინების თაობაზე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების, საქარ-

თველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით დასტურდება, რომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2016 წლის 24 ოქტომბერს.

4. დასახელებული გადაწყვეტილების მიხედვით, განქორწინების თაობაზე სარჩელი წარდგენილია შუამდგომლობის ავტორის მიერ, მოპასუხეს ეცნობა საქმის განხილვის დრო. ეს უკანასკნელი სარჩელის მოთხოვნას არ შეცვილებია, და ითხოვდა საქმის განხილვას მის დაუსწრებლად.

5. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის განჩინებით განმცხადებლის შუამდგომლობა მიღებულია განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას, თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

7. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი.

8. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი, 284-ე, 285-ე და 396-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. გ. ს-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს უკრაინის, ქალაქ ხარკოვის, მოსკოვის რაიონის, 2016 წლის 11 ოქტომბრის №643/11913/16 გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა 1990 წლის 17 ნოემბერს, დნეპროპეტროვსკის ოლქის იუსტიციის სამმართველოს პირველი მაისის საქალაქო მმართველის განყოფილების მიერ №235 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განქორწინება

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ა-76-შ-3-2020

19 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის ფრიდბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 08.05.2019წ. №750 F243/19 S გადაწყვეტილებით შეწყდა რ. რ-ას (გვარი დაბადებისას ნ-ი) (დაბადებული 05.12.1987წ., თბილისი, საქართველო) და ბ. რ-ას (დაბადებული 07.09.1958წ., გერმანია) შორის 07.07.2009წ. ბად ნაუჰაიმის მმართველის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი E64/2009).

2. რ. რ-ამ (ნ-ი) შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის ფრიდბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 08.05.2019წ. გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 იანვრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. გერმანიის ფრიდბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 08.05.2019წ. №750 F243/19 S გადაწყვეტილებით შეწყდა რ. რ-ას (გვარი დაბადებისას ნ-ი) (დაბადებული 05.12.1987წ., თბილისი, საქართველო) და ბ. რ-ას (დაბადებული 07.09.1958წ., გერმანია) შორის 07.07.2009წ. ბად ნაუჰაიმის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი E64/2009).

5. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით მიმართა რ. რ-ამ (ნ-ი). გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 08.05.2019 წ. საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. შუამდგომლობაზე თანდართული პირადობის მოწმობის ასლით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავდროულად მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართვე-

ლოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. შესაბამისად, გერმანიის ფრიდბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 08.05.2019წ. №750 F243/19 S გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რ. რ-ას (ნ-ი) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის ფრიდბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 08.05.2019წ. №750 F 243/19S გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა რ. რ-ას (ნ-ი) (დაბადებული 05.12.1987წ., თბილისი, საქართველო) და ბ. რ-ას (დაბადებული 07.09.1958წ., გერმანია) შორის 07.07.2009წ. ბად ნაუჰაიმის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი E64/2009).
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება საქართველოს სასჯელით**

№ა-814-შ-18-2020

13 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მიქაბერიძე,  
მ. ერემაძე**

**დავის საგანი: განქორწინება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. გერმანიის კარლსრუეს ადგილობრივი სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის №3F1005/18 გადაწყვეტილებით მოსარჩელე ი. ქ-ვა (დაბადებული ...09.19..., მოქალაქეობა: საქართველო, მცხოვრები 69... ვაინჰაიმი, გ. ...) და მოპასუხე მ. ნ-ი (დაბადებული ....09.19..., მოქალაქეობა: გერმანია, მცხოვრები 7... კარლსრუე, რ. ...) განქორწინდნენ.

2. 2020 წლის 20 თებერვალს ი. ქ-ვამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის კარლსრუეს ადგილობრივი სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის №3F1005/18 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. გერმანიის კარლსრუეს ადგილობრივი სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის №3F1005/18 გადაწყვეტილებით მოსარჩელე ი. ქ-ვა (დაბადებული ....09.19..., მოქალაქეობა: საქართველო, მცხოვრები 69... ვაინჰაიმი, გ. ...) და მოპასუხე მ. ნ. (დაბადებული ....09.19..., მოქალაქეობა: გერმანია, მცხოვრები 76... კარლსრუე, რ. ...) განქორწინდნენ.



5. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით მიმართა ი. ქვამ. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 15.10.2019 წ. შუამდგომლობაზე თანდართული პასპორტის ასლით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამატკიცებელი გარემოებები არ არსებობს. შესაბამისად, გერმანიის კარლსრუეს ადგილობრივი სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის №3F1005/18 გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით,

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **დაადგინა:**

1. ი. ქ-ვას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს გერმანიის კარლსრუეს ადგილობრივი სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის №3F1005/18 გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა ი. ქ-ვას (დაბადებული ....09.19., მოქალაქეობა: საქართველო, მცხოვრები 694... ვინჰაიმი, გ. ...) და მოპასუხე მ. ნ-ს (დაბადებული ....09.19., მოქალაქეობა: გერმანია, მცხოვრები 76... კარლსრუე, რ. ...) შორის 08.11.2013 წელს კარლსრუე-დურლახის მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება. (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი: E 3../2013)
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **განქორწინება**

#### **განჩინება**

#### **საქართველოს სასამართლო**

№ა-890-შ-21-2020

3 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მიქაბერიძე,  
მ. ერემაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. კოლუმბიის ოლქის უზენაესი სასამართლოს საოჯახო ურთიერთობების განყოფილების 2019 წლის 17 დეკემბრის №2019 DRB 3980 გადაწყვეტილებით მოსარჩელე დ. ა-ძე და მოპასუხე მ. რ-ი განქორწინდნენ. ვინაიდან ორივე მხარემ უარი განაცხადა კოლუმბიის ოლქის უზენაესი სასამართლოს საოჯახო ურთიერთობების განყოფილების №2019 DRB 3980 გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე იგი კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 17 დეკემბრის.

2. დ. ა-ქემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა კოლუმბიის ოლქის უზენაესი სასამართლოს საოჯახო ურთიერთობების განყოფილების 2019 წლის 17 დეკემბრის №2019 DRB 3980 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. კოლუმბიის ოლქის უზენაესი სასამართლოს საოჯახო ურთიერთობების განყოფილების 2019 წლის 17 დეკემბრის №2019 DRB 3980 გადაწყვეტილებით მოსარჩელე დ. ა-ქე და მოპასუხე მ. რ-ი განქორწინდნენ.

5. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით მიმართა დ. ა-ქემ. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 17.12.2019წ. შუამდგომლობაზე თანდართული პასპორტის ასლით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გა-

დანყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ენიხაღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. შესაბამისად, კოლუმბიის ოლქის უზენაესი სასამართლოს საოჯახო ურთიერთობების განყოფილების 2019 წლის 17 დეკემბრის №2019 DRB 3980 გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დ. ა-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს კოლუმბიის ოლქის უზენაესი სასამართლოს საოჯახო ურთიერთობების განყოფილების 2019 წლის 17 დეკემბრის №2019 DRB 3980 გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა დ. ა-ძის (პ/ნ...) და მ. რ-ს შორის 2017 წლის 20 მაისს, ბელგიაში, ბრიუსელი, სენ-ჟილში რეგისტრირებული ქორწინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შვილება**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ა-5497-შ-138-2018

1 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** შვილად აყვანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის ერთწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს ნებაცემლობითი სამართალწარმოების განყოფილების 2018 წლის 28 თებერვლის №3218/2018 გადაწყვეტილებით დადგინდა ი. ტ-ს მიერ ს. ბ-ძის შვილად აყვანის ფაქტი.

2. საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ს. ბ-ძემ და მოითხოვა ზემოთ დასახელებული შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა იმ დასაბუთებით, რომ ს. ბ-ძე არის საქართველოს მოქალაქე და მის მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით, სამოქალაქო რეესტრს უნდა წარედგინოს საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2018 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ს. ბ-ძის შუამდგომლობა, თანდართული მასალებით, განსახილველად მიიღო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

4. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5. საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის ერთწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს ნებაცემლობითი სამართალწარმოების განყოფილების 2018 წლის 28 თებერვლის №3218/2018 გადაწყვეტილებით დადგინდა ი. ტ-ს მიერ ს. ბ-ძის შვილად აყვანის ფაქტი.

6. შუამდგომლობაზე თანდართული მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2018 წლის 28 თებერვლიდან გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მხიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

8. ამდენად, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

9. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ბ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის ერთნევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს ნებაყოფლობითი სამართალწარმოების განყოფილების 2018 წლის 28 თებერვლის №3218/2018 გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ი. ე. ძე ტ-ის მიერ ს. ნ. ძე ბ-ძის (დაბადებული 1993 წლის 29 მარტს) შვილად აყვანის ფაქტი.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შვილება**

### **განჩინება საქართველოს სასჯელით**

№ა-216-შ-11-2019

29 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**  
**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** შვილად აყვანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. საბერძნეთის, ათენის ერთწევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 11 ნოემბრის №3715/2014 გადაწყვეტილებით (შემდეგში: უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება) ნ. კ. ძე ს-ის (შემდეგში: მშვილებელი) ნაშვილებ შვილად ნ. დ. ასული ჯ-ია (შემდეგში: ნაშვილები, შუამდგომლობის ავტორი ან განმცხადებელი) გამოცხადდა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს, 2019 წლის 21 იანვარს, შუამდგომლობით მომართა განმცხადებელმა და მოითხოვა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული სასამართლოს გადაწყვეტილებითა და თავად შუამდგომლობის ავტორის განცხადებით დადასტურებულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას თან ახლავს 2019 წლის 4 იანვრის ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ 2019 წლის 3 იანვრამდე მონაცემებით გადაწყვეტილებაზე საჩივარი არ ყოფილა წარდგენილი.

4. მშვილებელმა 2019 წლის 4 იანვარს განცხადებით მომართა უზენაეს სასამართლოს და განაცხადა, რომ შუამდგომლობის ავტორთან არანაირი პრეტენზია არ აქვს და თანახმაა, უზენაესმა სასამართლომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ცნოს.

5. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის განჩინებით განმცხადებლის შუამდგომლობა მიღებულია განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

6. საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმების 21-ე მუხლის თანახმად თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას თავის ტერიტორიაზე ცნოს და აღასრულოს სამოქალაქო საქმეებზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები.

7. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ შვილად აყვანის თაობაზე განცხადება მშვილებელმა და ნაშვილებმა ერთობლივად წარადგინეს. მშვილებელი საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობას წერილობით დაეთანხმა.

8. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ შვილად აყვანა განხორციელდეს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეობის ელემენტებს შეიცავს, მისი სუბიექტების მიმართ არსებითი წინაპირობები თითოეული მონაწილე მხარის მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის თანახმად წესრიგდება. საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ, შვილების არსებითი წინაპირობების განსაზღვრისათვის თითოეულისათვის გამოყენებული იქნება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეებიც არიან, იმ წინაპირობით, რომ უცხო ქვეყნის სამართლის დებულებები წინააღმდეგობაში არ მოდის ადგილობრივ ეთიკასა და საჯარო წესრიგთან (საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლი). უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში მოქალაქეობის საკითხი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონით რეგულირდება, ხოლო შვილად აყვანის საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) მე-5 თავითაა მოწესრიგებული. სსკ-ის 1239.2 მუხლის თანახმად სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.

9. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია,



რომ მშვილბეელი საბერძნეთის მოქალაქეა, ხოლო ნაშვილები – საქართველოს. შვილად ასაყვანი პირი სრულწლოვანია და მშვილბელის მეუღლის – დ. ი-ძის ბიოლოგიური შვილია. მშვილბეელი შვილად ასაყვანზე 18 წელზე მეტით უფროსია. საქმის განხილვის დროს მშვილბეელი 69 წლისაა, ხოლო ნაშვილები – 21 წლის. შუამდგომლობის ავტორი დ. ი-ძის ბიოლოგიური შვილია პირველი ქორწინებიდან (მამა – დ. ჯ-ია). მშვილბეელი და ნაშვილები 2009 წლიდან ერთად ცხოვრობენ, როგორც ოჯახი და მშვილბეელი ნაშვილებზე მამობრივ მზრუნველობასა და სიყვარულს ამ დროიდან იჩენს.

10. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შუამდგომლობა წარმოდგენილია ნაშვილების მიერ და მას მხარს მშვილბეელი უჭერს (იხ. ამ განჩინების მე-2 და მე-4 პუნქტები).

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

12. წინამდებარე განჩინების მე-11 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი.

13. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად დასტურდება შუამდგომლობის მოთხოვნის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან („საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი – შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილბეელი შვილად აყვანის დროს. შვილად აყვანა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ გამოიყენება; სსკ-ის 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 1246-ე მუხლის მე-2 ნაწილი;), აგრეთვე მშვილბელისა და შვილად აყვანილ შორის ასაკობრივი სხვაობა აკმაყოფილებს სსკ-ის 1250-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნას (მშვილბეელი უფროსი უნდა იყოს შვილად ასაყვანზე თექვსმეტი წლით მაინც).

14. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზე-

ნაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ჯ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს საბერძნეთის, ათენის ერთნევრიანი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 11 ნოემბრის №3715/2014 გადაწყვეტილება, რომლითაც ნ.კ. ძეს-ის (დაბ. 20.05.1945 წ.) ნაშვილებ შვილად ნ. დ. ასული ჯ-ია (დაბ. 14.10.1993 წ. დედის სახელი და გვარი – დ. ს.) გამოცხადდა;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შვილება**

**განჩინება  
საქართველოს სასამართლო**

№ა-4100-შ-111-2019

28 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილებით პირველი განმცხადებლის (ნ. ც-ის) შვილად გამოცხადდა 1995 წლის 15 მაისს დაბადებული მეორე სრულწლოვა-

ნი განმცხადებელი (თ. დ.), რომელიც არის პირველი განმცხადებლის (ნ. ც-ის) მეუღლის (გ. დ-ა) ბიოლოგიური შვილიშვილი.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თ. დ-მა და მოითხოვა საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს მდივნის მიერ 2019 წლის 23 ივლისს გაცემული სააპელაციო სასამართლოში სააპელაციოდ მიმართვის ან არმიმართვის მონუმბის თანახმად, 1994 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 22 ივლისამდე არ გასაჩივრებულა რიგითი ან რიგგარეშე სასამართლო საშუალებით სალონიკის პირველი ინსტანციის ნებაყოფლობითი ერთნევრიანი საოჯახო სასამართლოს მიერ 2019 წლის 5 აპრილს საჯაროდ გამოცხადებული №4362/2019 სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი ნებაყოფლობითი სასამართლო გადაწყვეტილება საოჯახო პროცესის შესახებ.

4. საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილებიდან დგინდება, რომ მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულინი საქმის განხილვის თაობაზე.

5. შუამდგომლობაზე თანდართული საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა [„საერთაშორისო კერძო სამართლის შემსახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი: შვილად აყვანის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მშვილებლები, ერთ-ერთი მშვილებელი ან ბავშვი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს].

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 ნოემბრის განჩინებით თ. დ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

7. ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები ნ. ც-ის გაეგზავნა 2019 წლის 11 დეკემბერს და ჩაბარდა 2020 წლის 14 იანვარს. განჩინებით მას განემართა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში ჰქონდა აღნიშნულ შუამდგომლობაზე თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე მას შეეძლო მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა,

წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. თუმცა, მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

8. საქართველოს უზენაესი სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. დ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილებით პირველი განმცხადებლის (ნ. ც-ის) შვილად გამოცხადდა 1995 წლის 15 მაისს დაბადებული მეორე სრულწლოვანი განმცხადებელი (თ. დ.), რომელიც არის პირველი განმცხადებლის (ნ. ც-ის) მეუღლის (გ. დ-ა) ბიოლოგიური შვილიშვილი; 1994 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 22 ივლისამდე არ გასაჩივრებულა რიგითი ან რიგგარეშე სასამართლო საშუალებით სალონიკის პირველი ინსტანციის ნებაცხოფლობითი ერთნევრიანი საოჯახო სასამართლოს მიერ 2019 წლის 5 აპრილს საჯაროდ გამოცხადებული №4362/2019 სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი ნებაცხოფლობითი სასამართლო გადაწყვეტილება საოჯახო პროცესის შესახებ; მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე; შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

10. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებიდან გამომდინარე, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2 პუნქტით.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმებში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. შესაბამისად, საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი

სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. დ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის რესპუბლიკის სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №4362/2019 გადაწყვეტილება, რომლითაც პირველი განმცხადებლის (ნ. ც-ის) შვილად გამოცხადდა 1995 წლის 15 მაისს დაბადებული მეორე სრულწლოვანი განმცხადებელი (თ. დ.), რომელიც არის პირველი განმცხადებლის (ნ. ც-ის) მეუღლის (გ. დ-ა) ბიოლოგიური შვილიშვილი;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის  
განსაზღვრა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ა-1700-შ-42-2019

7 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ი. კ-ომ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ხ-ის მიმართ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე.

2. რუსეთის ფედერაციის ირკუტსკის ოლქის ანგარსკის სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. ხ-ას (ამჟამად კ.) სარჩელი დაკმაყოფილდა. არასრულწლოვანი ბავშვების – გ. გ. ძე ხ-ისა (დაბ....11.20..) და დ. გ. ძე ხ-ის (დაბ....05.20...) საცხოვრებელ ადგილად განისაზღვა დედის – ი. კ-ოს საცხოვრებელი ადგილი: ქ. ირკუტსკი, პ. ქ. №..., ბ... .

3. ი. კ-ოს წარმომადგენელმა ი. მ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ირკუტსკის ოლქის ანგარსკის სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

4. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ რუსეთის ფედერაციის ირკუტსკის ოლქის ანგარსკის სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 03 ივლისს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მაისის განჩინებით ი. კ-ოს შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ირკუტსკის ოლქის ანგარსკის სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

6. შუამდგომლობის განსახილველად მიღების შესახებ საკასაციო სასამართლოს განჩინება, ასევე, საქმის მასალები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა და ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს გ. ხ-ს.

7. 2019 წლის 24 მაისს გ. ხ-მა წარმოადგინა თავისი წერილობითი პოზიცია (იხ. შესაგებელი), რომლითაც არ დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

8. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 03 ივნისის განჩინებით გ. ხ-ის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე დაკმაყოფილდა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე და საქმის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2019 წლის 05 ივლისს, რის შესახებაც ეცნობათ მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

9. განსახილველ საქმეზე ზეპირი სასამართლო სხდომები ჩატარდა 2019 წლის 05 ივლისს, 02 აგვისტოს, 24 სექტემბერს და 07 ოქტომბერს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

10. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, საქმის არსებითად განხილვისას გამოთქმულ მხარეთა მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ ი. კ-ოს შუამდგომლობა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

12. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იური-

დიული ინტერესი და ა.შ.

13. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გადანყვეტილების აღიარების (ცნობის) საგანს წარმოადგენს არა ზოგადად კონკრეტული სასამართლო გადანყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. (იხ. დამატებით: ბ. ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, თბ., 2009.).

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადანყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადანყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადანყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადანყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოვებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები.

15. ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობის პრობლემის გადანყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადანყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადანყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადანყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებაზე.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების თვალსაზრისით. უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების იურიდიული ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამარ-



თლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა ცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში მოიაზრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების შემონიშნება/განხილვა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების თაობაზე და ამიტომ წინამდებარე განჩინების დასაბუთებისას დაეყრდნობა „მინსკის კონვენციის“ მოწესრიგებას.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მე-3 თავი აწესრიგებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების წესებს. აღნიშნული კონვენციის 51-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ცნობენ და აღასრულებენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების გადაწყვეტილებებს.

19. საკასაციო პალატა მიუთითებებს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ 2009 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

20. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ „მინსკის კონვენციას“ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებთან მიმართებით. სწორედ ამიტომ, „მინსკის კონვენციის“ 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლო, რომელიც განიხილავს ხელშემკვრელი მხარის სასამართლო გადაწყვეტილების

ცნობა-აღსრულების საკითხს, შემოიფარგლება კონვენციით გათვალისწინებული წინაპირობების შემონახვით. შესაბამისად, ცნობა-აღსრულების პროცედურის მიმართ გამოიყენება კონკრეტული ხელშემკვრელი მხარის საპროცესო-სამართლებრივი ნორმები, ხოლო ცნობა-აღსრულების სხვა საკითხებზე ვრცელდება კონვენციის მე-3 თავის დებულებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის დანაწესის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო პროცესუალური მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით ხელმძღვანელობს ამავე კოდექსით, რომლის მე-4 მუხლი ადგენს მხარეთა შეჯობრებითობის წარმართვის ვალდებულებას, ხოლო, მე-5 მუხლი – საქმის თანასწორობის საწყისზე განხილვის აუცილებლობას.

21. „მინსკის კონვენციის“ მე-19 მუხლის თანახმად, სამართლებრივი დახმარების თხოვნა შეიძლება უარყოფილი იქნეს, თუ ასეთი დახმარების განევა ზიანს მოუტანს იმ ხელშემკვრელი მხარის სუვერენიტეტს ან უშიშროებას, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა ან ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას. (ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლი).

22. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორცაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დანესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დანესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

23. ამავე კონვენციის მე-3 თავით მოწესრიგებულია გადანყვეტილებათა აღიარება (ცნობა) და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-ე-55-ე მუხლებით დადგენილია გადანყვეტილებათა აღიარები-

სა (ცნობის) და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემონმების გზით ხორციელდება, იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.

25. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გამახვილებს დავის საგანზე, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, მშობლების განქორწინებისას არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მხედველობაში იღებს საკითხის მომწესრიგებელ საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობის შემდეგ ნორმებს:

26. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინდადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

27. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსა-

ხურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი უალტერნატივოდ იმის დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოდგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში.

28. სსკ-ის 1201-ე მუხლის თანახმად, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადანყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მინსკის კონვენციის“ 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ აღნიშნული მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადანყვეტილებებს. საკასაციო სასამართლო წარმოდგენილ შუამდგომ-

ლობას განიხილავს „მინსკის კონვენციის“ 54.2 მუხლით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში, მიაჩნია, რომ არ არსებობს „მინსკის კონვენციის“ 55-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარების (ცნობის) დამაბრკოლებელი გარემოებები და დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების (ცნობის) შესახებ.

30. რაც შეეხება ი. კ-ს შუამდგომლობას გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მრავალი ქვეყანა მისდევს **revizion au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს**, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.

31. **საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს**, რომ საცნობი გადაწყვეტილება განსაზღვრავს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილს, შესაბამისად, გადაწყვეტილების მცნობი სასამართლო ვერ გასცდება საცნობი გადაწყვეტილების ფარგლებს და ვერ დაადგენს ახალ სამართლებრივ შედეგს. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ გადაწყვეტილების ცნობის საკითხის განხილვისას, არასრულწლოვანი ბავშვები ცხოვრობენ საქართველოში მამასთან – გ. ხ-თან ერთად, საცნობი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული, რომ არასრულწლოვანი ბავშვები არიან არამართლობიერად დაკავებულნი ან გადაადგილებულნი და რომ დაბრუნებული უნდა იქნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, (ამიტომაც საკასაციო პალატა, ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებითად აღარ იმსჯელებს არასრულწლოვანი ბავშვების საუკეთესო ინტერესთან მიმართებით) შესაბამისად, ი. კ-ს შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ირკუტსკის ოლქის ანგარსკის სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად, რადგან შინაარსობრივად არ წარმოადგენს იმ სახის გადაწყვეტილებას, რომელიც საჭიროებს უზენაესი სასამართლოს მიერ აღსრულების შესახებ რაიმე აქტის (განჩინება, გადაწყვეტილება) გამოტანას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საო-

ჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე, 52-ე, 54-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. კ-ოს შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს რუსეთის ფედერაციის ირკუტსკის ოლქის ანგარსკის სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არასრულწლოვანი ბავშვების – გ. გ. ძე ხ-ის (დაბადებული ...11.20...წ.) და დ. გ. ძე ხ-ის (დაბადებული ...05.20...წ.) საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – ი. კ-ოს საცხოვრებელი ადგილი.
3. საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ირკუტსკის ოლქის ანგარსკის სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილში ი. კ-ოს შუამდგომლობა დარჩეს განუხილველად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის  
განსაზღვრა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ა-4246-შ-126-2019

11 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**  
**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაძე, ე. გასიჭაშვილი**

**დავის საგანი:** განქორწინება, არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობელთან ურთიერთობის წესის დადგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. დ. კ. ძე ჯ-სა და მ. ნ-ძეს შორის საქართველოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის ტერიტორიულ სამსახურში 2012 წლის 28 იანვრის №... სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. არასრულწლოვანი შვილების – 2012 წლის 25 ივლისს დაბადებულ ნ. ჯ-ისა და 2014 წლის 18 იანვარს დაბადებული ნ. ჯ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის – დ. კ. ძე ჯ-ის საცხოვრებელი ადგილი; დ. კ. ძე ჯ-ს დაევალა ხელი შეუწყოს და მონაწილეობა მიიღოს არასრულწლოვანი ბავშვების მ. ნ-ძესთან შეხვედრის ორგანიზებას, არ შეუშალოს მას ბავშვებთან ურთიერთობაში ხელი. 1994 წლის 28 თებერვალს დაბადებულ მ. ნ-ძეს, მცხოვრები საქართველო, ქალაქი ლაგოდეხი, დ. კ. ძე ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა არასრულწლოვანი შვილების – 2012 წლის 25 ივლისს დაბადებულ ნ. ჯ-ისა და 2014 წლის 18 იანვარს დაბადებული ნ. ჯ-ის სარჩენად აღიქმვის გადახდა ყველა სახის ხელფასის და/ან სხვა ყოველთვიური შემოსავლის 1/3-ის ოდენობით 2018 წლის 01 ნოემბრიდან შვილების სრულწლოვნობამდე.

2. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ. ნ-ძემ გაასაჩივრა და მოითხოვა მისი გაუქმება. რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15

ივლისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

3. დ. ჯ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

4. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 16 აგვისტოს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

5. შუამდგომლობა თანდართულ მასალებთან ერთად გადაეგზავნა მონინალმდევე მხარეს მ. ნ-ძეს.

6. 2019 წლის 11 ნოემბერს მ. ნ-ძემ წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (იხ. შესაგებელი), რომლითაც არ დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. მონინალმდევე მხარემ წერილობით მოსაზრებაში მიუთითა, რომ რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლო არ იყო კომპეტენტური განეხილა შუამდგომლობის ავტორის სარჩელი, რადგან დარღვეული იქნა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-8, მე-13, და 49-ე მუხლები, შესაბამისად, ადგილი აქვს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, კერძოდ, უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება. მონინალმდევე მხარემ მიუთითა სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (მინსკის კონვენცია) 32-ე მუხლზე, რომლითაც წესრიგდება მშობელთა და შვილთა სამართალურ-ურთიერთობა, აგრეთვე აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლო ვალდებული იყო მინსკის კონვენციის 22-ე მუხლის შესაბამისად, შეეწყვიტა საქმისწარმოება, რადგან საქართველოში იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი, რაც ასევე წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძველს.

7. მონინალმდევე მხარემ აღნიშნა, რომ გურჯანიის რაიონულ



სასამართლოში მიმდინარეობს დავა, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენს მ. ნ-ძე, ხოლო მოპასუხეს კი დ. ჯ-ი. დავის საგანს წარმოადგენს არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. მ. ნ-ძემ გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2018 წლის 23 ოქტომბერს, ხოლო შუამდგომლობის ავტორმა დ. ჯ-მა კი სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონულ სასამართლოს მიმართა 2018 წლის 01 ნოემბერს. შესაბამისად საქართველოში სასამართლო პროცესი დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე რუსეთის ფედერაციაში.

8. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 22 ნოემბრის განჩინებით მ. ნ-ძის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე დაკმაყოფილდა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე და საქმის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2019 წლის 11 დეკემბერს, რის შესახებაც ეცნობათ მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

9. განსახილველ შუამდგომლობაზე ზეპირი სასამართლო სხდომა ჩატარდა 2019 წლის 11 დეკემბერს, რა დროსაც საკასაციო პალატამ მხარეებს შესთავაზა დავის მორიგებით დასრულება, რაზედაც შუამდგომლობის ავტორმა უარი განაცხადა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

10. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, საქმის არსებითად განხილვისას გამოთქმულ მხარეთა მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ დ. ჯ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

12. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონ-

კრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი და ა.შ.

13. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გადანყვეტილების აღიარების (ცნობის) საგანს წარმოადგენს არა ზოგადად კონკრეტული სასამართლო გადანყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. (იხ. დამატებით: ბ.ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, თბ., 2009.).

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადანყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადანყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადანყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადანყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები.

15. ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობის პრობლემის გადანყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადანყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადანყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადანყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებაზე.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული

სამართლებრივი წინაპირობების თვალსაზრისით. უცხო ქვეყნის სა-სამართლო გადაწყვეტილების იურიდიული ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა ცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში მოიაზრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების შემონიშნება/განხილვა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში.

17. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების თაობაზე და ამიტომ წინამდებარე განჩინების დასაბუთებისას დაეყრდნობა „მინსკის კონვენციის“ მოწესრიგებას.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მე-3 თავი ანესრიგებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების წესებს. აღნიშნული კონვენციის 51-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ცნობენ და აღასრულებენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების გადაწყვეტილებებს.

19. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ 2009 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

20. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ „მინსკის კონვენციას“ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწე-

სებთან მიმართებით. სწორედ ამიტომ, „მინსკის კონვენციის“ 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლო, რომელიც განიხილავს ხელშემკვრელი მხარის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს, შემოიფარგლება კონვენციით გათვალისწინებული წინაპირობების შემონმვებით. შესაბამისად, ცნობა-აღსრულების პროცედურის მიმართ გამოიყენება კონკრეტული ხელშემკვრელი მხარის საპროცესო-სამართლებრივი ნორმები, ხოლო ცნობა-აღსრულების სხვა საკითხებზე ვრცელდება კონვენციის მე-3 თავის დებულებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის დანაწესის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო პროცესუალური მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით ხელმძღვანელობს ამავე კოდექსით, რომლის მე-4 მუხლი ადგენს მხარეთა შეჯიბრებითობის წარმართვის ვალდებულებას, ხოლო, მე-5 მუხლი – საქმის თანასწორობის საწყისზე განხილვის აუცილებლობას.

21. „მინსკის კონვენციის“ მე-19 მუხლის თანახმად, სამართლებრივი დახმარების თხოვნა შეიძლება უარყოფილი იქნეს, თუ ასეთი დახმარების განევა ზიანს მოუტანს იმ ხელშემკვრელი მხარის სუვერენიტეტს ან უშიშროებას, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა ან ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას. (ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლი).

22. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორცაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დაწესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

23. ამავე კონვენციის მე-3 თავით მოწესრიგებულია გადაწყვეტილებათა აღიარება (ცნობა) და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-ე-55-ე მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილებათა აღიარებისა (ცნობის) და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემომწების გზით ხორციელდება, იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.

25. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გამახვილებს დავის საგანზე, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, მშობლების განქორწინებისას არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მხედველობაში იღებს საკითხის მომწესრიგებელ საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობის შემდეგ ნორმებს:

26. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

27. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას

ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია, რაც იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი უალტერნატივოდ იმის დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში.

28. საქასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მინსკის კონვენციის“ 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ აღნიშნული მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადანყვეტილებებს.

29. საქასაციო პალატა პირველ რიგში ყურადღებას მიაქცევს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2019 წლის 11 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე, მოპასუხე მ. ნ-ძემ სადავოდ არ გახადა ის გარემოება, რომ რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის, რომელზედაც გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადანყვეტილება, ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ჯერონად იყო ინფორმირებული, შესაბამისად განსახილველ შუამდგომლობასთან მიმართებით არ არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადანყვეტილების ცნობაზე უარის თქმის ისეთი საფუძველი, როგორიცაა გადანყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

30. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საფუძვლებთან დაკავშირებით წერილობით პასუხში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს, რომ მონინალმდევე მხარემ მიუთითა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-8, მე-13 და 49-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ადგილი აქვს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, აგრეთვე მიუთითა სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის („მინსკის კონვენცია“) 22-ე და 32-ე მუხლების დანაწესებზე იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი განეხილა დ. ჯ-ის სარჩელი, არამედ ვალდებული იყო მინსკის კონვენციის 22-ე მუხლის შესაბამისად, შეენციგა საქმის წარმოება, რადგან საქართველოში იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი, რაც ასევე წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძველს.

31. საკასაციო პალატა მონინალმდევე მხარის მიერ მითითებულ სამართლებრივ დანაწესებთან მიმართებით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენის და მათთან დაკავშირებული დავების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს. აღნიშნული კანონის 49-ე მუხლის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შორის არსებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მშობლის მზრუნველობის ჩათვლით, ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ამავე დროს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ბავშვი განეკუთვნება.

32. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენ-

ციის („მინსკის კონვენცია“) 28-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, განქორწინებასთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეებიც არიან მეუღლეები განცხადების შეტანის მომენტში. თუ ერთ-ერთი მეუღლე არის ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარისა, გამოიყენება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, რომლის დანესებულებაც განიხილავს განქორწინების საქმეს.

33. „მინსკის კონვენციის“ 29-ე მუხლის თანახმად, განქორწინების საქმესთან დაკავშირებით კომპეტენტური არიან ხელშემკვრელი მხარის დანესებულებები, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს ორივე მეუღლე. თუ ერთ-ერთი მეუღლე ცხოვრობს ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე – მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, განქორწინების საქმეებში კომპეტენტური არიან ორივე ხელშემკვრელი მხარის დანესებულებები, რომელთა ტერიტორიაზეც ცხოვრობენ მეუღლეები.

34. „მინსკის კონვენციის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშობელთა და შვილთა სამართალურთიერთობა განისაზღვრება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობენ შვილები.

35. „მინსკის კონვენციის“ 32-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შორის სამართალურთიერთობის საქმეებში კომპეტენტურია სასამართლო ხელშემკვრელი მხარისა, რომლის კანონმდებლობაც გამოყენებული უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

36. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 04 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე – დ. ჯ. არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, არასრულწლოვანი ბავშვებიც არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რომელთა მუდმივ რეგისტრაციის ადგილს წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია, სანკტ-პეტერბურგი, ..., ბინა №26. მოსარჩელე ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, ხოლო მოპასუხე კი საქართველოში. საქმეში წარმოდგენილია სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონის მე-19 ბალის 2018 წლის 09 ნოემბრის დახასიათება, რომელშიც მითითებულია, რომ 2012 წლის 25 ივლისს დაბადებული ნ. ჯ-ი 2015 წლის 01 სექტემბრიდან არის აღნიშნული ბალის აღსაზრდელი, აგრეთვე 2014 წლის 18 იანვარს დაბადებული ნ. ჯ-იც 2015 წლის პირველი სექტემბრიდან არის ამ ბალის აღსაზრდელი (იხ. ს.ფ.19). დადგენილია, რომ მოპასუხე მ. ნ-ძე 2019 წლის 04 მარტის სასამართლო სხდომა-



ზე არ გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით ჯეროვნად იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ. რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინებაში, რომელიც გამოტანილი იქნა მ. ნ-ძის 2019 წლის 05 ივნისის საჩივრის საფუძველზე, რომლითაც იგი ითხოვდა 2019 წლის 04 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მითითებულიც კი არ არის, რომ მ. ნ-ძემ სადავო გახადა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს კომპეტენცია. საჩივარი შეეხებოდა მხოლოდ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიოობას.

37. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს მონინაალმდეგე მხარის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძველი.

38. საკასაციო პალატა არ იზიარებს მონინაალმდეგე მხარის მოსაზრებას განსახილველ შემთხვევაში „მინსკის კონვენციის“ 22-ე მუხლის დანაწესის გამოყენებასთან მიმართებით. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ აღძრულია სასამართლო საქმე ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე საგანზე და ერთსა და იმავე საფუძველზე ორი ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებში, რომლებიც კომპეტენტურნი არიან ამ კონვენციის თანახმად, სასამართლო, სადაც უფრო გვიან არის აღძრული საქმე, წყვეტს საქმის წარმოებას. 2019 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე მონინაალმდეგე მხარე მხოლოდ შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ საქმე საქართველოს სასამართლოში უფრო ადრე აღიძვრა, ვიდრე რუსეთის ფედერაციაში, თუმცა ვერ წარმოადგინა ამ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო წესით მოპოვებული მტკიცებულებები, (ცნობა სასამართლოს კანცელარიიდან საქართველოში სარჩელის წარმოებაში მიღების თარიღის შესახებ). აგრეთვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „მინსკის კონვენციის“ 22-ე მუხლით გათვალისწინებული საუძვლის შესაძლო არსებობის შესახებ მ. ნ-ძეს დ. ჯ-ის მიერ რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონულ სასამართლოში შეტანილ სარჩელზე არც შესაგებებელში და ასევე არც 2019 წლის 04 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ 2019 წლის 05 ივნისის შეტანილ საჩივარშიც არ მიუთითებია, შესაბამისად განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქარ-

თველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძველი.

39. საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი შუამდგომლობა განიხილა „მინსკის კონვენციის“ 54.2 მუხლით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში, მიაჩნია, რომ არ არსებობს „მინსკის კონვენციის“ 55-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარების (ცნობის) დამაბრკოლებელი გარემოებები და დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების (ცნობის) შესახებ, ხოლო აღიმენცის დაკისრების ნაწილში კი – აღსრულების თაობაზეც.

40. რაც შეეხება დ. ჯ-ის შუამდგომლობას არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში რუსეთის ფედერაციის სანქტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მრავალი ქვეყანა მისდევს revision au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.

41. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საცნობი გადაწყვეტილება განსაზღვრავს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილს, შესაბამისად, გადაწყვეტილების მცნობი სასამართლო ვერ გასცდება საცნობი გადაწყვეტილების ფარგლებს და ვერ დაადგენს ახალ სამართლებრივ შედეგს. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ გადაწყვეტილების ცნობის საკითხის განხილვისას, არასრულწლოვანი ბავშვები ცხოვრობენ საქართველოში დედასთან - მ. ნ-ძესთან ერთად, საცნობი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული, რომ არასრულწლოვანი ბავშვები არიან არამართლზომიერად დაკავებულნი ან გადაადგილებულნი და რომ დაბრუნებული უნდა იქნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, (ამიტომაც საკასაციო პალატა, ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებითად აღარ იმსჯელებს არასრულწლოვანი ბავშვების საუკეთესო ინტერესთან მიმართებით) შესაბამისად, დ. ჯ-ის შუამდგომლობა არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში რუსეთის ფედე-

რაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად, რადგან შინაარსობრივად არ წარმოადგენს იმ სახის გადაწყვეტილებას, რომლიც საჭიროებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ აღსრულების შესახებ რაიმე აქტის (განჩინება, გადაწყვეტილება) გამოტანას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე, 52-ე, 54-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ჯ-ის შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც დ. კ. ძე ჯ-სა და მ. ნ-ძეს შორის საქართველოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის ტერიტორიულ სამსახურში 2012 წლის 28 იანვრის ... სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. არასრულწლოვანი შვილების – 2012 წლის 25 ივლისს დაბადებულ ნ. ჯ-ისა და 2014 წლის 18 იანვარს დაბადებული ნ. ჯ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის – დ. კ. ძე ჯ-ის საცხოვრებელი ადგილი; დ. კ. ძე ჯ-ს დაევალა ხელი შეუწყოს და მონაწილეობა მიიღოს არასრულწლოვანი ბავშვების მ. ნ-ძესთან შეხვედრის ორგანიზებას, არ შეუშალოს მას ბავშვებთან ურთიერთობაში ხელი.
3. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსასრულებლად მიექცეს რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც 1994 წლის 28 თებერვალს დაბადებულ მ. ნ-ძეს, მცხოვრები საქართველო, ქალაქი ლაგოდეხი, დ. კ. ძე ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა არასრულწლოვანი შვილების – 2012 წლის 25 ივლისს დაბადებულ ნ. ჯ-ისა და 2014 წლის 18 იანვარს დაბადებული ნ. ჯ-ის სარჩენად აღიმენცის

გადახდა ყველა სახის ხელფასის და/ან სხვა ყოველთვიური შემოსავლის 1/3-ის ოდენობით 2018 წლის 01 ნოემბრიდან შვილების სრულწლოვნობამდე.

4. შუამდგომლობა არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის კალინინის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა**

### **განჩინება საქართველოს სასჯელით**

№ა-3968-შ-107-2019

14 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობელთან ურთიერთობის წესის დადგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ლ. პ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ა. პ-ისა და მესამე პირი – სტახანოვის საქალაქო საბჭოს ბავშვთა საქმეების სამსახურის მიმართ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე.

2. უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. პ-ას სარჩელი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის დადგენის შესახებ დაკმაყოფილდა სრულად. მცირეწლოვანი ბავშვების – დ. პ-ას (დაბ. 15.12.2008) და მ. პ-ას (დაბ. 29.10.2012) საცხოვრებელ ადგილად განისაზღვა დედის, ლ. პ-ას საცხოვრებელი ადგილი.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. პ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

4. უკრაინის ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის განჩინებით ა. პ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

5. უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით ლ. პ-ას სარჩელი სტახანოვის საქალაქო საბჭოს აღმსრულებელი კომიტეტის მიმართ, მესამე პირი – ა. პ-ის, – მოპასუხის გადაწყვეტილების უკანონოდ აღიარების შესახებ, დაკმაყოფილდა. უკანონოდ იქნა მიჩნეული სტახანოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 2013 წლის 5 მარტის №100 გადაწყვეტილების (მამის მონაწილეობის შესახებ მცირეწლოვანი შვილების: დ. პ-ას, დაბადებული 2008 წლის 15 დეკემბერს და მ. პ-ას, დაბადებული 2012 წლის 22 თებერვალს, აღზრდაში) პირველი პუნქტი, რომლითაც დადგენილია ა. ვ. პ-ის უფროს ქალიშვილთან, დ. პ-ასთან, შეხვედრის წესი. ა. პ-ის სარჩელი ლ. პ-ას მიმართ, მესამე პირი – სტახანოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მამის შვილების აღზრდაში მონაწილეობის საშუალების განსაზღვრის შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. პ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

7. უკრაინის ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

8. ლ. ყ-ამ (პ-ა) შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის, ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის, ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოსა და ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

9. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები შესულია კანონიერ ძალაში.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 სექტემბრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებული იქნა განსახილველად. შუამდგომლობა და თანდართული მასალები გაეგზავნა მონინაალმდეგე მხარე ა. პ-ს, რომელმაც

2019 წლის 01 ოქტომბერს წარმოადგინა წერილობითი მოსაზრება (შეპასუხება), რომლითაც არ დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

11. მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა, რომ იგი არ ესწრებოდა უკრაინის სასამართლოებში საქმის განხილვას, რადგან მისთვის კანონით დადგენილი წესით არ იყო ცნობილი საქმის განხილვის თაობაზე, არც ადვოკატი ყოლია, რაც საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, „თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები“, წარმოადგენს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

12. მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში აგრეთვე დარღვეულია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია“) 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნაც, რომლის თანახმადაც, „გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების შესახებ შუამდგომლობას უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო გადაწყვეტილება და, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, სათანადო წესით და დროულად გამოძახებული იყო სასამართლოში“. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, ასეთი დოკუმენტი საქმის მასალებში არ მოიპოვება, რაც „მინსკის კონვენციის“ 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

13. მოწინააღმდეგე მხარემ ასევე მიუთითა, რომ მას გააჩნია მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელსაც მოგვიანებით წარმოადგენდა, აგრეთვე არასრულწლოვან დ. პ.-ას აქვს მიჯაჭვულობა მამასთან და არ სურს საქართველოს დატოვება.

14. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე დაკმაყოფილდა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და საქმის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2019 წლის 04 დეკემბერს, რის შესახებაც ეცნობათ მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

15. განმცხადებელმა წარმოადგინა დამატებითი შუამდგომლობები, კერძოდ, 1) შუამდგომლობა ახლადგამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლითაც დ. პ-ას აეკრძალოს (მარტო ან სხვა პირთან ერთად) საქართველოს საზღვრის დატოვება საცნობი გადაწყვეტილებების საქართველოში ცნობა ან/და აღსრულებამდე. 2). შუამდგომლობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მესამე პირად ჩართვის შესახებ.

16. შუამდგომლობაზე ზეპირი სასამართლო სხდომა ჩატარდა 2019 წლის 04 დეკემბერს, 2020 წლის 16 იანვარს და 2020 წლის 14 თებერვალს, რა დროსაც საკასაციო სასამართლომ მხარეებს არაერთხელ შესთავაზა საქმის მორიგებით დასრულება, თუმცა მხარეთა შორის ვერ მოხერხდა საქმის მორიგებით დასრულება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

17. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, საქმის არსებითად განხილვისას გამოთქმულ მხარეთა მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ ლ. ჟ-ას (პ-ა) შუამდგომლობა უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის, ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის, ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოსა და ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

19. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს

კომპეტენციაში, გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი და ა.შ.

20. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გადანყვეტილების აღიარების (ცნობის) საგანს წარმოადგენს არა ზოგადად კონკრეტული სასამართლო გადანყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. (იხ. დამატებით: ბ. ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, თბ., 2009.).

21. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადანყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადანყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადანყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადანყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები.

22. ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობის პრობლემის გადანყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადანყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადანყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადანყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებაზე.

23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნინაპირობების თვალსაზრისით. უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების იურიდიული ძალის სხვა ქვეყანაში



გავრცელებისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა ცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში მოიაზრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების შემონიშნება/განხილვა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში.

24. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის გაფორმებულია ორმხრივი ხელშეკრულება „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“, შემდგომში „ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია 1996 წლის 06 დეკემბრიდან). საქართველო და უკრაინა წარმოადგენენ აგრეთვე „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, ამიტომაც წინამდებარე განჩინების დასაბუთებისას, საკასაციო სასამართლო დაეყრდნობა აღნიშნული აქტებით გათვალისწინებულ მოწესრიგებას უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ.

25. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მე-3 თავი აწესრიგებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების წესებს. (იგივე საკითხს აწესრიგებს საქართველოსა და უკრაინას შორის გაფორმებული „ორმხრივი ხელშეკრულების“ მეორე განყოფილება, მუხლი 40-45). „მინსკის კონვენციის“ 51-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ცნობენ და აღასრულებენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების გადაწყვეტილებებს.

26. საკასაციო პალატა მიუთითებებს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ 2009 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შე-

სახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

27. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც „მინსკის კონვენციის“, აგრეთვე „ორმხრივ ხელშეკრულებას“, უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებთან მიმართებით.

28. „მინსკის კონვენციის“ 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლო, რომელიც განიხილავს ხელშემკვრელი მხარის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს, შემოიფარგლება კონვენციით გათვალისწინებული წინაპირობების შემონახვით. შესაბამისად, ცნობა-აღსრულების პროცედურის მიმართ გამოიყენება კონკრეტული ხელშემკვრელი მხარის საპროცესო-სამართლებრივი ნორმები, ხოლო ცნობა-აღსრულების სხვა საკითხებზე ვრცელდება კონვენციის მე-3 თავის დებულებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის დანაწესის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო პროცესუალური მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით ხელმძღვანელობს ამავე კოდექსით, რომლის მე-4 მუხლი ადგენს მხარეთა შეჯიბრებითობის წარმართვის ვალდებულებას, ხოლო, მე-5 მუხლი – საქმის თანასწორობის საწყისზე განხილვის აუცილებლობას.

29. „მინსკის კონვენციის“ მე-19 მუხლის თანახმად, სამართლებრივი დახმარების თხოვნა შეიძლება უარყოფილი იქნეს, თუ ასეთი დახმარების განევა ზიანს მოუტანს იმ ხელშემკვრელი მხარის სუვერენიტეტს ან უშიშროებას, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა ან ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას. (ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლი).

30. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორცაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნა-

წილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დაწესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

31. ამავე კონვენციის მე-3 თავით მოწესრიგებულია გადაწყვეტილებათა აღიარება (ცნობა) და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-ე-55-ე მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილებათა აღიარებისა (ცნობის) და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, („ორმხრივი ხელშეკრულების“ 42-ე-43-ე მუხლები), შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა.

32. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემონმების გზით ხორციელდება, **იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.**

33. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს დავის საგანზე, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მხედველობაში იღებს საკითხის მომწესრიგებელ საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობის შემდეგ ნორმებს:

34. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს „ბავშვთა უფლებათა კონვენციაც“. მართალია, საერთაშორისოდ

აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეუულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

35. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია, რაც იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი უალტერნატივოდ იმის დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში.

36. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის გაფორმებული „ორმხრივი ხელშეკრულების“ 29-ე მუხლის თანახმად, სამართალურთიერთობანი მშობლებსა და შვილებს შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ გააჩნიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი. თუ რომელიმე მშობლის ან შვილის საცხოვრებელი ადგილი ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფება, მაშინ სამართალურთიერთობანი მათ შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი. გადანყვეტილების

გამოტანაზე კომპეტენციური არიან ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოები, რომლის კანონმდებლობაც უნდა იქნეს გამოყენებული ამ შემთხვევაში. შესაბამისად, საქმის მასალე-ბიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უკრაინის სასამართლოებს განსახილველ საქმეზე გააჩნდათ საერთაშორისო კომპეტენცია.

37. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მინსკის კონვენციის“ 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ აღნიშნული მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადან-ყვეტილებებს.

38. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახ-მად, საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპე-ტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ად-გილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. აღნიშნუ-ლი კანონის მე-13 მუხლის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შო-რის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენის და მათთან დაკავშირებული დავების საქმეებზე საქარ-თველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეუ-ლებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს. აღნიშნული კა-ნონის 49-ე მუხლის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შორის არ-სებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მშობლის მზრუნ-ველობის ჩათვლით, ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სა-დაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ამავე დროს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენება იმ ქვეყნის სა-მართალი, რომელსაც ბავშვი განეკუთვნება.

39. „მინსკის კონვენციის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თა-ნახმად, მშობელთა და შვილთა სამართალურთიერთობა განისაზ-ღვრება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტე-რიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობენ შვილები, ხოლო 32-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად კი, მშობლებსა და შვილებს შორის სა-მართალურთიერთობის საქმეებში კომპეტენციურია სასამართლო ხელშემკვრელი მხარისა, რომლის კანონმდებლობაც გამოყენებუ-ლი უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

40. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ მო-წინააღმდეგე მხარემ გადანყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უა-რის თქმის საფუძველად მიუთითა „საერთაშორისო კერძო სამარ-თლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის

„ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, „გადანყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადანყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები“. მონინალმდევე მხარემ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში აგრეთვე დარღვეულია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია“) 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნაც, რომლის თანახმადაც, „გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების შესახებ შუამდგომლობას უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო გადანყვეტილება და, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, სათანადო წესით და დროულად გამოძახებული იყო სასამართლოში“. მონინალმდევე მხარის მოსაზრებით, ასეთი დოკუმენტი საქმის მასალებში არ მოიპოვება, რაც „მინსკის კონვენციის“ 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

41. საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი შუამდგომლობა განიხილა „მინსკის კონვენციის“ 54.2 მუხლით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიაჩნია, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული მონინალმდევე მხარის მოსაზრება უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების საქართველოში ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის თაობაზე, რადგან განსახილველ შემთხვევაში დაცულია „მინსკის კონვენციით“ და „ორმხრივი ხელშეკრულებით“ დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების (ცნობის) შესახებ.

42. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მონინალმდევე მხარემ წერილობით შეპასუხებაში მიუთითა, რომ მას გააჩნია მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადანყვეტილება, რომელსაც მოგვიანებით წარმოადგენდა, მას ასეთი სასამართლო გადანყვეტილება არ წარმოუდგენია.

43. რაც შეეხება მონინალმდევე მხარის მოსაზრებას, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ არასრულწლოვან დ. პ.-ას აქვს მიჯაჭვულობა მამასთან და არ სურს საქართველოს დატოვება, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ

44. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ (მუხლი 3, პუნქტი 1) თანახმად, ბავშვთა მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელები-

სას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

45. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ბავშვს აძლევს უფლებას, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, შეფასდეს და უპირველესი ყურადღება დაეთმოს მის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სფეროში. ამასთან, იგი ასახავს კონვენციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა („კომიტეტი“) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მიიჩნია კონვენციის ოთხი ზოგადი პრინციპიდან ერთ-ერთად ბავშვის ყველა უფლების განმარტებისა და განხორციელებისათვის და იყენებს მას, როგორც დინამიკურ ცნებას, რომელიც მოითხოვს კონკრეტული კონტექსტის შესატყვის შეფასებას. 48. ამასთან, კონვენცია ცალსახად მიუთითებს ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებზე სხვა მუხლებშიც: მე-9 მუხლში: მშობლებისაგან დამორება; მე-10 მუხლში: ოჯახის გამთლიანება; მე-18 მუხლში: მშობლის პასუხისმგებლობა; მე-20 მუხლში: ოჯახური გარემოდან ჩამოცილება და ალტერნატიული ზრუნვა; 37(გ) მუხლში: თავისუფლებადკვეთილი ზრდასრულებისაგან განცალკევება; 40(2)(ბ) (iii) მუხლში: საპროცესო გარანტიები, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ სისხლის სამართლის წესით განხილულ საქმეთა სამართლო პროცესებზე მშობელთა დასწრება. გარდა ამისა, კონვენცია მიუთითებს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებზე კონვენციის ფაკულტატიურ ოქმში ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (პრეამბულა და მე-8 მუხლი) და კონვენციის ფაკულტატიურ ოქმში კომუნიკაციის პროცედურის შესახებ (პრეამბულა და მე-2 და მე-3 მუხლები).

46. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების მიზანია, უზრუნველყოს როგორც კონვენციით აღიარებული ყველა უფლებით სრული და ეფექტიანი სარგებლობა, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება. კომიტეტმა ზრდასრული ადამიანის მიერ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების აღქმა არ შეიძლება იყოს უპირატესი კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის ყველა უფლების პატივისცემის ვალდებულებასთან შედარებით“. კონვენციაში უფლებათა იერარქია არ არსებობს; მასში უზრუნველყოფილი ყველა უფლება შეესაბამება „ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს“ და დაუშვებელია

რომელიმე უფლების შელახვა ბავშვის ქვემარტი ინტერესების ცნების ნეგატიური განმარტებით. ბავშვის ქვემარტი ინტერესების ცნების სრული გამოყენება მოითხოვს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას, რომელშიც ჩაერთვება ყველა მონაწილე მხარე, ბავშვის ყოვლისმომცველი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური და სულიერი ერთიანობის უზრუნველსაყოფად და მისი ადამიანური ღირსების პატივსაცემად.

47. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება არის სამგანზომილებიანი: (ა) მატერიალური უფლება: ბავშვის უფლება, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესის განხილვა კონკრეტულ საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად, და გარანტია, რომ ეს უფლება განხორციელდება ყოველთვის, როდესაც გადანყვეტილება მისაღები ბავშვთან, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელ ჯგუფთან, ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებით. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი აწესებს სახელმწიფოთა არსებით ვალდებულებას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს (თვითაღსრულებადია) და შეიძლება მოხმობილი იქნეს სასამართლოს წინაშე. (ბ) ძირითადი, სამართლებრივი პრინციპი: თუ სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობას, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კონვენციასა და მის ფაკულტატიურ ოქმებში ასახული უფლებები ქმნიან ჩარჩოს განმარტებისათვის. (გ) საპროცესო ნორმა: როდესაც ხდება ისეთი გადანყვეტილების მიღება, რომელიც შეეხება კონკრეტულ ბავშვს, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელ ჯგუფს ან ზოგადად ბავშვებს, გადანყვეტილების მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს ამ გადანყვეტილების შესაბამის ბავშვზე ან ბავშვებზე შესაძლო ზეგავლენის (დადებითი თუ უარყოფითი) შეფასებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. ამასთან, გადანყვეტილების დასაბუთებაში უნდა ჩანდეს, რომ ეს უფლება ცალსახად იქნა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განმარტონ, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული ეს უფლება გადანყვეტილებაში, ე.ი. რა იქნა მიზნული ბავშვის ქვემარტი ინტერესებად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა იგი და როგორ შეფასდა ბავშვის ქვემარტი ინტერესები სხვა მოსაზრებებთან შედარებით, იქნება ეს პოლიტიკის ზოგადი საკითხები თუ ცალკეული შემთხვევები.

48. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ბავშვის უფლებათა კონ-



ვენციის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ჩარჩოს მონაწილე სახელმწიფოთა სამი სახის ვალდებულებებისათვის: (ა) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ქვამარიტი ინტერესები სათანადოდ ინტეგრირებული იყოს და თანმიმდევრულად ხდებოდეს მათი გათვალისწინება საჯარო უწყების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში, განსაკუთრებით განხორციელების ყველა ღონისძიებაში, ადმინისტრაციულ და სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელსაც პირდაპირი ზეგავლენა აქვს ბავშვებზე;

49. (ბ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაში, ისევე, როგორც ბავშვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ნათლად ჩანდეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს დაეთმო უპირველესი ყურადღება. საჭიროა იმის აღწერაც, თუ როგორ მოხდა საუკეთესო ინტერესების შესწავლა და შეფასება და რა მნიშვნელობა მიენიჭა მათ გადაწყვეტილებაში.

50. (გ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ინტერესები შეფასდა და დაეთმო უპირველესი ყურადღება კერძო სექტორის ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებაში, მათ შორის მომსახურების მიმწოდებლების ან ნებისმიერი სხვა კერძო ორგანიზაციის ან დანესებულების მიერ, რომლებიც იღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე ან შეეხება მას.

51. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიზანია, უზრუნველყოს, რომ უფლება გარანტირებული იყოს ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკავშირდება ბავშვს ან ბავშვებს, უნდა ითვალისწინებდეს მათ საუკეთესო ინტერესებს როგორც უპირველეს პრიორიტეტს. სიტყვა „ქმედება“ მოიცავს არა მხოლოდ გადაწყვეტილებებს, არამედ მოქმედებებს, ქცევას, წინადადებებს, მომსახურებას, პროცედურებსა და სხვა ღონისძიებებს. უმოქმედობა ან ქმედების განუხორციელებლობა და დაუდევრობა აგრეთვე წარმოადგენენ „ქმედებას“, მაგალითად, მაშინ, როდესაც სოციალური დაცვის ორგანოები არ ახორციელებენ ქმედებას ბავშვთა დასაცავად უგულებელყოფის ან ჩაგვრისაგან. ტერმინი „ბავშვები“ გულისხმობს 18 წელს მიუღწეველ ყველა პირს მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კონვენციის პირველი და მე-2 მუხლების შესაბამისად. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება ბავშვებზე, როგორც ინდივიდებზე, და აკისრებს ვალდებულებას მონაწილე სახელმწიფოებს, შეაფასონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები და დაუთმონ მათ უპირველესი ყურადღება თითოეული გადაწყვეტილე-

ბის მიღებისას.

52. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, სათანადოდ გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს ყოველისმომცველ ვალდებულებას, რომელიც მოიცავს ყველა საჯარო და კერძო სოციალური დაცვის ორგანოს, სასამართლოს, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საკანონმდებლო ორგანოებს, რომლებსაც შეხება აქვთ ან დაკავშირებული არიან ბავშვებთან. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები პირდაპირ არ არიან ნახსენები მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, ბავშვის საუკეთესო ინტერესები „უნდა იყოს მათი მთავარი საზრუნავი“ (მე-18 მუხლის პირველი პუნქტი).

53. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სასამართლოები“ გულისხმობს ნებისმიერ სასამართლო სამართალწარმოებას ყველა ინსტანციაში, მიუხედავად იმისა, ვინ ახორციელებს მას – პროფესიონალი მოსამართლეები თუ არაპროფესიონალი პირები, და ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა შესაბამის პროცედურას, შეზღუდვის გარეშე, ასევე მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესებს. სამოქალაქო საქმეებში, როგორც არის მამობის დადგენის, ბავშვზე ძალადობის ან მისი უგულვებელყოფის, ოჯახის გაერთიანების, განსახლების და სხვა საქმეები, ბავშვი შესაძლოა იცავდეს თავის ინტერესებს დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო პროცესმა, მაგალითად, შეიძლება აყვანის, განქორწინების, მეურვეობის, საცხოვრისის, მონახულების ან სხვა ისეთ საკითხებთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ბავშვის სიცოცხლესა და განვითარებაზე, ასევე ბავშვის მიმართ ძალადობასთან ან მის უგულვებელყოფასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას შესაძლოა ბავშვზე ზეგავლენა მოახდინოს. სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები გათვალისწინებული იყოს ყველა ამგვარ სიტუაციაში და გადანყვებილებაში, მიუხედავად მათი საპროცესო თუ მატერიალური ხასიათისა, და უნდა წარმოაჩინონ, რომ მათ ეს ეფექტიანად განახორციელდეს.

54. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება კომპლექსურია და უნდა განისაზღვროს ყოველი ცალკეული საქმის მიხედვით. სწორედ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის კონვენციის სხვა ნორმებთან თანხვედრაში განმარტებით და განხორციელებით შეძლებს კანონმდებელი, მოსამართლე, ადმინისტრაციული, სოციალური თუ საგანმანათლებლო დაწესებულება, განმარტოს ეს ცნება და სათანადოდ გამოიყენოს იგი. შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება მოქნილი და ადაპტირებადია. იგი უნდა მოერგოს და განისაზღვროს ინდივიდუ-

ალურად, შესაბამისი ბავშვის თუ ბავშვების კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, მათი პირადი კონტექსტის, მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით. თითოეული გადაწყვეტილებისათვის ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა შეფასდეს და განისაზღვროს ცალკეული ბავშვის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. კოლექტიური გადაწყვეტილებების შემთხვევაში, როგორცაა კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ზოგადად ბავშვთა საუკეთესო ინტერესები უნდა შეფასდეს და განისაზღვროს მოცემული ჯგუფის ან/და ზოგადად ბავშვების კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. ორივე შემთხვევაში შეფასება და განსაზღვრა უნდა განხორციელდეს კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში განმტკიცებული უფლებების სრული პატივისცემით.

55. ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა გავრცელდეს ყველა საკითხზე, რომელიც შეეხება ბავშვებს, და უნდა იქნეს გათვალისწინებული კონვენციასა თუ ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს შორის ნებისმიერი შესაძლო წინააღმდეგობის გადასაწყვეტად. ყურადღება უნდა მიექცეს გადაწყვეტის ისეთი შესაძლო გზების განსაზღვრას, რომლებიც შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ეს გულისხმობს იმას, რომ განხორციელების ღონისძიებების შემუშავებისას სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაადგინონ ყველა ბავშვის, მათ შორის მონაცვლადი ბავშვების, საუკეთესო ინტერესები.

56. ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების მოქნილობა შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს რეაგირება ყოველი ცალკეული ბავშვის მდგომარეობაზე და განვითარდეს ცოდნა ბავშვის განვითარების შესახებ. თუმცა ამან შესაძლოა დატოვოს მანიპულირების შესაძლებლობაც; მაგალითად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება ბოროტად იქნა გამოყენებული მთავრობებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ რასისტული პოლიტიკის გასამართლებლად; მშობლების მიერ თავიანთი ინტერესების დასაცავად მეურვეობის შესახებ დავებში; პროფესიონალების მიერ, რომლებსაც თავის შენუხება არ სურდათ და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უგაულებელყვეს როგორც შეუსაბამო და უმნიშვნელო.

57. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს სიტუაციათა ფართო სპექტრს, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მისი გამოყენებისას გარკვეული ხარისხით მოქნილობის საჭიროებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესები – როდესაც ისინი შეფასდა და განისაზღვრა – შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვა უფლებებთან (მაგ. სხვა ბავშვების, საზოგა-

დოების, მშობლების და ა.შ. უფლებებთან). ინდივიდუალურად განხილული პოტენციური წინააღმდეგობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვების საუკეთესო ინტერესებს შორის უნდა გადაიჭრას ცალკეული შემთხვევის მიხედვით. ყველა მხარის ინტერესები საგულდაგულოდ უნდა დაბალანსდეს და მოძიებული იქნეს სათანადო კომპრომისი. იგივე უნდა გაკეთდეს, თუ სხვა პირთა უფლებები წინააღმდეგობაში მოდის ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან. თუ ჰარმონიზაცია შეუძლებელია, ხელისუფლებამ და გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა უნდა გააანალიზონ და ანონონ-დანონონ ყველა მონაწილე პირის უფლებები და გაითვალისწინონ, რომ ბავშვის უფლება, მის საუკეთესო ინტერესებს მიენიჭოს უპირველესი ყურადღება ნიშნავს იმას, რომ ბავშვთა ინტერესებს მაღალი პრიორიტეტი აქვთ და ისინი არ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ სხვა მოსაზრებათაგან ერთ-ერთს. ამდენად, მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, რაც ბავშვს ყველაზე მეტად წაადგება.

58. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლების პატივისცემას, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრება ყველა საკითხზე, რომელიც მასზე ზეგავლენას ახდენს, და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას. ეს ცალსახად არის ჩამოყალიბებული კომიტეტის № 12 ზოგად კომენტარში, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე, განუყოფელ კავშირებზე მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-12 მუხლს შორის. ამ ორ ნორმას ურთიერთშემავსებელი როლი აქვს: პირველის მიზანს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზაცია წარმოადგენს, ხოლო მეორე ადგენს მეთოდოლოგიას ბავშვის ან ბავშვების მოსაზრებების მოსმენისა და მათი ჩართვისათვის ყველა იმ საკითხში, რომელიც მათ შეეხება, მათ შორის მათი საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის სათანადო გამოყენება ვერ მოხდება, თუ არ დაკმაყოფილდა მე-12 მუხლის მოთხოვნები. მსგავსად ამისა, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი აძლიერებს მე-12 მუხლის ფუნქციურობას, ყურადღებას ამახვილებს რა ბავშვების არსებით როლზე მათ ცხოვრებაზე ზეგავლენის მომხდენი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში.

59. კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს ბავშვის უფლებას, მოუსმინონ პირდაპირ ან წარმომადგენლის საშუალებით ნებისმიერ სასამართლო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რომელიც მას შეეხება. „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“ არის უფლება, პრინციპი და საპროცესო ნორმა, რომელსაც საფუძვლად უდევს კონკრეტულ სიტუაციაში ბავშვის ან

ბავშვების საუკეთესო ინტერესების ყველა ელემენტის შეფასება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას, კონკრეტული ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები: (ა) პირველი, საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ კონტექსტში უნდა განისაზღვროს, თუ რომელია შესაბამისი ელემენტები საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის, მიენიჭოს მათ კონკრეტული შინაარსი და პრიორიტეტი ერთმანეთთან მიმართებაში; (ბ) მეორე, ამისათვის დაცული უნდა იქნეს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ გარანტიებსა და უფლების სათანადო გამოყენებას.

60. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ბავშვის მოსაზრებები. კონვენციის მე-12 მუხლი ადგენს ბავშვის უფლებას, გამოხატოს თავისი მოსაზრებები ნებისმიერი იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მას შეეხება. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც არ ითვალისწინებს ბავშვის მოსაზრებებს ან არ ანიჭებს მის მოსაზრებებს სათანადო მნიშვნელობას ბავშვის ასაკისა და სიმწიფის ხარისხის მიხედვით, არ სცემს პატივს ბავშვის ან ბავშვების შესაძლებლობას, ზეგავლენა მოახდინონ თავიანთი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრაზე.

61. ის ფაქტი, რომ ბავშვი ძალზე მცირეწლოვანია ან მონყვლად მდგომარეობაშია (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობები, უმცირესობის ჯგუფისადმი კუთვნილება, მიგრანტობა და სხვ.), არ ათმევს მას უფლებას, გამოხატოს თავისი მოსაზრებები და არ ამცირებს იმ მნიშვნელობას, რომელიც უნდა მიენიჭოს ბავშვის მოსაზრებებს მისი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას. კონკრეტული ღონისძიებების მიღება ამგვარ სიტუაციებში ბავშვებისათვის თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით უნდა დაექვემდებაროს ინდივიდუალურ შეფასებას, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების როლს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საჭიროებისამებრ გონივრული ხელშეწყობისა და მხარდაჭერის განევას მათი საუკეთესო ინტერესების შეფასებაში მათი სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

62. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში №14, 2013 წელი, აღნიშნულია, რომ სავალდებულოა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მშობლებისაგან ბავშვის პოტენციური განცალკევების კონტექსტში (მე-9, მე-18 და მე-20 მუხლები). ამასთან, კომიტეტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ელემენტები წარმოადგენს კონკრეტულ უფლებებს და არა მხოლოდ უბრალო ელემენტებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისათ-

ვის. ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ფუნდამენტურ ერთეულს და მისი წევრების, განსაკუთრებით ბავშვების, ბუნებრივ გარემოს ზრდისა და კეთილდღეობისათვის (კონვენციის პრეამბულა). ბავშვის ოჯახური ცხოვრების უფლება დაცულია კონვენციით (მე-16 მუხლი). ტერმინი „ოჯახი“ უნდა განიმარტოს ფართო გაგებით და მოიცავდეს ბიოლოგიურ, შვილად ამყვან, მინდობით მიმღებ მშობლებს, შესაბამის შემთხვევებში, ნათესავებს ან თემის წარმომადგენლებს ადგილობრივი ჩვეულებების შესაბამისად (მე-5 მუხლი). ოჯახის განცალკევების პრევენცია და ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება ბავშვთა დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტებია და ეფუძნება მე-9 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ უფლებას, რომელიც მოითხოვს, რომ „ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ [...] ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს“. ამასთან, ერთ ან ორივე მშობელთან დაცილებული ბავშვი უფლებამოსილია, „რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“ (მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი). ეს აგრეთვე შეეხება ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს მეურვეობის უფლება, სამართლებრივ ან ჩვეულებით პირველად მზრუნველებს, მინდობით მიმღებ ოჯახს და იმ პირებს, რომლებთანაც ბავშვს ახლო პირადი ურთიერთობა აქვს. ბავშვზე მშობლებთან დაშორების ზეგავლენის სიმძიმედან გამომდინარე, ამგვარი დაშორება უნდა განხორციელდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, როდესაც ბავშვს ემუქრება უშუალო საფრთხე, ან როდესაც ეს სხვაგვარად არის აუცილებელი; დაშორება არ უნდა განხორციელდეს, თუ ნაკლებად მკაცრი ზომებით შესაძლებელია ბავშვის დაცვა. დაშორების განხორციელებამდე სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება მშობლებს თავიანთი პასუხისმგებლობის შესრულებაში და აღადგინოს ან გააძლიეროს ოჯახის უნარი, იზრუნოს ბავშვზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაშორება აუცილებელია ბავშვის დასაცავად. ეკონომიკური მიზეზები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული გამართლებად ბავშვის მშობლებთან დაშორებისათვის. (პპ. 58-61).

63. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემომწების გზით ხორციელდება, იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომე-

ლიმე პუნქტში, ამიტომაც განსახილველი შუამდგომლობის ფარგლებში, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მონინააღმდეგე მხარის მიერ მითითებულ ზემოთ აღნიშნულ გარემოებაზე.

64. რაც შეეხება შუამდგომლობას არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის, ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის, ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოსა და ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მრავალი ქვეყანა მისდევს **revizion au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს**, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი **გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას**. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.

65. **საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს**, რომ საცნობი გადაწყვეტილება განსაზღვრავს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილს, შესაბამისად, გადაწყვეტილების მცნობი სასამართლო ვერ გაცდება საცნობი გადაწყვეტილების ფარგლებს და ვერ დაადგენს ახალ სამართლებრივ შედეგს. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ გადაწყვეტილების ცნობის საკითხის განხილვისას, არასრულწლოვანი ბავშვი – დ. პ-ა, ცხოვრობს საქართველოში მამასთან ერთად, საცნობი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული, რომ არასრულწლოვანი ბავშვი არის არამართლზომიერად დაკავებული ან გადაადგილებული და რომ დაბრუნებული უნდა იქნეს უკრაინის ტერიტორიაზე, (ამიტომაც საკასაციო პალატა, ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებითად აღარ იმსჯელებს არასრულწლოვანი ბავშვების საუკეთესო ინტერესთან მიმართებით), შესაბამისად, შუამდგომლობა არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის, ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის, ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოსა და ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის

გადანყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად, რადგან შინაარსობრივად არ წარმოადგენს იმ სახის გადანყვეტილებას, რომლიც საჭიროებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ აღსრულების შესახებ რაიმე აქტის (განჩინება, გადანყვეტილება) გამოტანას.

66. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განმცხადებლის შუამდგომლობები: – 1). ახლადგამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლითაც დ. პ-ას აეკრძალოს (მარტო ან სხვა პირთან ერთად) საქართველოს საზღვრის დატოვება საცნობი გადანყვეტილებების საქართველოში ცნობა ან/და აღსრულებამდე.; 2). სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მესამე პირად ჩართვის შესახებ, უნდა დარჩეს განუხილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე, 52-ე, 54-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ლ. ჟ-ას (პ-ა) შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის, ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის, ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოსა და ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის გადანყვეტილებების ის ნაწილი, რომლითაც მცირეწლოვანი ბავშვების – 2008 წლის 15 დეკემბერს დაბადებული დ. პ-ასა და 2012 წლის 29 ოქტომბერს დაბადებული მ. პ-ას საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – ლ. ჟ-ას (პ-ა) საცხოვრებელი ადგილი.



3. ლ. ყ-ას (პ-ა) შუამდგომლობა არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში უკრაინის ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის, ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის, ლუგანსკის ოლქის სტახანოვის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოსა და ლუგანსკის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ალიმენტის გადახდის დაკისრება**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ა-4977-შ-123-2018

5 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ასტარას რაიონული სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის №2(018)-370/2018 გადაწყვეტილებით (შემდეგში: უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება) ე. ზ. კიზი ბ-ას (მ-ას; შემდეგში: მოსარჩელე ან შუამდგომლობის ავტორი) სარჩელი ე. ფ. ოლი ბ-ის (შემდეგში: მოპასუხე ან მონინა-აღმდეგე მხარე) მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მხარეებს შორის 2014 წლის 28 დეკემბერს რეგისტრირებული ქორწინება (სააქტო ჩანაწერი №3566) შეწყდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, 2018 წლის 5 მარტიდან შვილების: 2015 წლის 21 აპრილს დაბადებული ე. ე. ოლი ბ-ისა და 2017 წლის 1 აპრილს დაბადებულ-

ლი ლ. ე. კიზი ბ-ას სრულწლოვანების მიღწევამდე, ყოველთვიურად 280 (ორას ოთხმოცი) მანათის, თითოეულისათვის 140 (ას ორმოცი) მანათის ალიმენტის, გადახდა დაეკისრა. ასევე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 15 (თხუთმეტი) მანათის გადახდა.

2. საკასაციო სასამართლოში მოსარჩელის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით, 2018 წლის 31 ოქტომბერს აღძრული შუამდგომლობით ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების, ალიმენტისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულებაა მოთხოვნილი.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება 2018 წლის 27 აგვისტოდან კანონიერ ძალაშია შესული და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინებით, წარმოდგენილი შუამდგომლობა, თანდართული მასალებით, განსახილველად მიიღო. ამავე განჩინებით მოპასუხეს განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში აქვს აზრის გამოთქმის უფლება, ასევე მას შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.

5. შუამდგომლობის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება შუამდგომლობაზე თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გაეგზავნა მოპასუხეს. გზავნილი 2019 წლის 11 ივნისს ჩაჰბარდა მონინაალმდეგე მხარის ძმას მ. ბ-ს ძმისთვის (მოპასუხისათვის) გადასაცემად. აღნიშნული კი მონინაალმდეგე მხარისათვის გზავნილის ჩაბარებად ითვლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74.1 მუხლის შესაბამისად.

6. მონინაალმდეგე მხარეს საკასაციო სასამართლოსათვის მოსარჩევით არ მოუმართავს და არც საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა მოუთხოვია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა აკმაყოფილებს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამარ-

თლებრივი ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებისა (შემდეგში: საერთაშორისო ხელშეკრულება, ძალაშია 1997 წლის 18 თებერვლიდან) და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მოთხოვნებს, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და აღსრულდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ასტარას რაიონული სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის №2(018)-370/2018 გადაწყვეტილება.

7. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დროისა და თარიღის შესახებ, რასაც არც მოპასუხე ხდის სადავოდ, რაც სავსებით საკმარისი საფუძველია საკასაციო სასამართლოს დასარწმუნებლად, რომ მოპასუხე უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ ჯეროვნად და სათანადო წესით იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის ადგილის, დროის, მხარეებისა და დავის საგნის შესახებ.

8. საერთაშორისო ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც საკუთარი მოქალაქეები. ამ მიზნით მათ უფლება აქვთ, თავისუფლად მიმართონ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოებს, პროკურატურისა და სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოებს (შემდგომში „იუსტიციის დაწესებულებებად“ წოდებულთ) და სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, აგრეთვე განახორციელონ სხვა პროცესუალური მოქმედებანი, იმავე პირობებით, როგორც საკუთარმა მოქალაქეებმა.

9. ამავე ხელშეკრულების მე-3 თავით მონესრიგებულია გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, კერძოდ, 42-ე-47-ე მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებისა და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადაწყვეტილების ხელმეორედ არსებით განხილვას.

10. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შუამდგომლობას ერთვის საერთაშორისო ხელშეკრულების 43-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წინაპირობების შემოწმების საკითხის გადა-

საწყვეტად.

11. სპეციალური კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას განემარტა, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება, განემარტა ისიც, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ამას მოითხოვდა. როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხემ წერილობითი მოსაზრებები არ წარმოადგინა საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი და აღსასრულებელი გადაწყვეტილების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობაზე.

12. საკასაციო სასამართლო იმ საკითხსაც შეეხება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომართვით უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციითა მოთხოვნილი, განსახილველ შემთხვევაში კი საკასაციო სასამართლო, ამ განჩინებაში დასახელებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ხელმძღვანელობს („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

13. საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და სპეციალური კანონის შემოხსენებული ნორმებით და აკმაყოფილებს მოსარჩელის შუამდგომლობას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებისა 42-ე-47-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა ა ზ ბ ი ნ ა:**

1. ე. ზ. კიზი ბ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და აღსრულდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ასტარას რაიონული სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის №2(018)-370/2018 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე:
  - 2.1. ე. ფ. ოლლი ბ-ს ე. ზ. კიზი ბ-ას სასარგებლოდ, 2018 წლის 5 მარტიდან შვილების: 2015 წლის 21 აპრილს დაბადებული ე. ე. ოლლი ბ-ისა და 2017 წლის 1 აპრილს დაბადებული ლ. ე. კიზი ბ-ას სრულ-

ნლოვანების მიღწევამდე, ყოველთვიურად 280 (ორას ოთხმოცი) მანათის, თითოეულისათვის 140 (ას ორმოცი) მანათის ალიმენტის, გადახდა დაეკისრა;

2.2. ე. ფ. ოლი ბ-ს ე. ზ. კიზი ბ-ას სასარგებლოდ, დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 15 (თხუთმეტი) მანათის გადახდა;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ალიმენტის გადახდის დაკისრება**

### **განჩინება საქართველოს სახელის**

№ა-4097-შ-109-2019

4 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. მ-ას სარჩელი კ. ა-ას მიმართ ალიმენტისა და დამატებითი ხარჯების დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – 2011 წლის 26 ივლისს დაბადებული ლ. ა-ას სარჩენად ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის – მყარი ფულადი თანხის – 4000 გრივნის გადახდა, რომელიც კანონის თანახმად, ექვემდებარება ინდექსაციას, 2018 წლის 2 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ. ა-ას სარჩენად 2016-2017წწ პერიოდისათვის დამატებითი ხარჯების – 4000 გრივნის გადახდა. ასევე კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ. ა-ას სარჩენად ყოველწლიურად 10000 გრივნის გადახდა.

2. ი. მ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის

რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ კ. ა-ა სათანადო წესით ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე. ასევე წარმოდგენილია ცნობა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 28 თებერვალს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

4. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ი. მ-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

5. შუამდგომლობა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად მონინალმდეგე მხარეს – კ. ა-ას გადაეგზავნა და ჩაჰბარდა 2019 წლის 26 სექტემბერს.

6. მონინალმდეგე მხარემ 2019 წლის 07 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა წერილობითი პასუხი, რომლითაც მოითხოვა საქმის ზეპირი განხილვა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

7. სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დადგინდა საქმის ზეპირი განხილვა 2019 წლის 04 დეკემბერს, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. 2019 წლის 19 ნოემბერს შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა დამატებითი წერილობითი მოსაზრება მონინალმდეგე მხარის წერილობით პასუხის თაობაზე, აგრეთვე მოითხოვა შუამდგომლობის განხილვა მისი მონანილეობის გარეშე არასრულწლოვანი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

9. 2019 წლის 04 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა მონინალმდეგე მხარე კ. ა-ა, საქართველოს უზენაესი სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამ-

დგომლობასა და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. მ-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

11. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი და ა.შ.

12. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების აღიარების (ცნობის) საგანს წარმოადგენს არა ზოგადად კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. (იხ. დამატებით: ბ. ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, თბ., 2009.).

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები.

14. ამიტომაც, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

15. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების თვალსაზრისით. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიული ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა ცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში მოიაზრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების შემოწმება/განხილვა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში.

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის გაფორმებული არის ხელშეკრულება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ (ძალაშია 1996 წლის 06 დეკემბრიდან), ამიტომ წინამდებარე განჩინების დასაბუთებისას საკასაციო პალატა დაეყრდნობა როგორც აღნიშნულ ხელშეკრულებას, აგრეთვე „მინსკის კონვენციის“ მონესრიგებას.

17. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის გაფორმებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის



საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების მეორე განყოფილება, მუხლი 40-ე-45-ე ანესრიგებს ხელშემკვრელ მხარეთა შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების საკითხს. აღნიშნული ხელშეკრულების 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ნებართვაზე შუამდგომლობათა განხილვა შედის ხელშეკრულების მონაწილე მხარის სასამართლოთა კომპეტენციაში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება, ხოლო 42-ე მუხლის თანახმად კი, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს აღსრულება.

18. საკასაციო პალატა აგრეთვე მიუთითებს, რომ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მე-3 თავი ანესრიგებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების წესებს. აღნიშნული კონვენციის 51-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ცნობენ და აღასრულებენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების გადაწყვეტილებებს.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

20. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც საქართველოსა და უკრაინას შორის გაფორმებულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ორმხრივ ხელშეკრულებას, აგრეთვე „მინსკის კონვენციას“ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებთან მიმართებით.

21. „მინსკის კონვენციის“ 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლო, რომელიც განიხილავს ხელშემკვრელი მხარის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს, შე-

მოიფარგლება კონვენციით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებით. შესაბამისად, ცნობა-აღსრულების პროცედურის მიმართ გამოიყენება კონკრეტული ხელშემკვრელი მხარის საპროცესო-სამართლებრივი ნორმები, ხოლო ცნობა-აღსრულების სხვა საკითხებზე ვრცელდება კონვენციის მე-3 თავის დებულებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის დანაწესის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო პროცესუალური მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით ხელმძღვანელობს ამავე კოდექსით, რომლის მე-4 მუხლი ადგენს მხარეთა შეჯიბრებითობის წარმართვის ვალდებულებას, ხოლო, მე-5 მუხლი – საქმის თანასწორობის საწყისზე განხილვის აუცილებლობას.

22. „მინსკის კონვენციის“ მე-19 მუხლის თანახმად, სამართლებრივი დახმარების თხოვნა შეიძლება უარყოფილი იქნეს, თუ ასეთი დახმარების განევა ზიანს მოუტანს იმ ხელშემკვრელი მხარის სუვერენიტეტს ან უშიშროებას, რომელსაც წაუყენეს მოთხოვნა ან ეწინააღმდეგება მის კანონმდებლობას.

23. „მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დანესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დანესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

24. ამავე კონვენციის მე-3 თავით მოწესრიგებულია გადანყვეტილებათა აღიარება (ცნობა) და იძულებითი აღსრულება, კერძოდ, 51-ე-55-ე მუხლებით დადგენილია გადანყვეტილებათა აღიარებისა (ცნობის) და იძულებითი აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, (განსახილველ შემთხვევაში აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია აგრეთვე საქართველოსა და

უკრაინას შორის გაფორმებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების 43-ე მუხლით), შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სამართლოს მსჯელობა.

26. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემონმების გზით ხორციელდება, იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.

27. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გამახვილებს დავის საგანზე, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაკისრებულ აღიშენებს შეეხება და მხედველობაში იღებს საკითხის მომწესრიგებელ საერთაშორისო თუ შიდა კანონმდებლობის შემდეგ ნორმებს.

28. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

29. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვი-

სათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია, რაც იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი უაღტირნატივოდ იმის დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულყოფილი და ღირსეული წევრის, განვითარებაში.

30. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის გაფორმებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების 29-ე მუხლის თანახმად, სამართალურთიერთობანი მშობლებსა და შვილებს შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ გააჩნიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი. თუ რომელიმე მშობლის ან შვილის საცხოვრებელი ადგილი ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფება, მაშინ სამართალურთიერთობანი მათ შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი. გადაწყვეტილების გამოტანაზე კომპეტენტური არიან ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოები, რომლის კანონმდებლობაც უნდა იქნეს გამოყენებული ამ შემთხვევაში. შესაბამისად, საქმის მასალებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონულ სასამართლოს განსახილველ საქმეზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – 2011 წლის 26 ივლისის დაბადებული ლ. ა-ას სარჩენად ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის – მყარი ფულადი თანხის –

4000 გრივნის გადახდა, რომელიც კანონის თანახმად, ექვემდებარება ინდექსაციას, 2018 წლის 2 აპრილიდან ბაეშვის სრულწლოვანებამდე. კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ. ა-ას სარჩენად 2016-2017წწ პერიოდისათვის დამატებითი ხარჯების – 4000 გრივნის გადახდა. ასევე კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ. ა-ას სარჩენად ყოველწლიურად 10000 გრივნის გადახდა. ამასთან, უკრაინის ტერიტორიაზე გადანყვებილება არ აღსრულებულა;

32. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ მონინაალმდევე მხარემ გადანყვებილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, გადანყვებილების ცნობა არ ხდება, თუ გადანყვებილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

33. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში განთავსებულ მასალებზე, საიდანაც დგინდება, რომ მოპასუხე საქმის განხილვის დროსა და ადგილის თაობაზე სათანადო წესით და დროულად იყო ინფორმირებული. საკასაციო სასამართლოში 2019 წლის 04 დეკემბერს გამართულ სხდომაზე მონინაალმდევე მხარემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაამტკიცა საწინააღმდეგო გარემოებების არსებობა და შემოიფარგლა მხოლოდ ზეპირი განმარტებებით.

34. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადანყვებილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადანყვებილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

35. საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს „მინსკის კონვენციის“ 55-ე მუხლის „ბ“ პუნქტით – გადანყვებილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად ან ჯეროვანი წესით არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება, გადანყვებილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი. (ანალოგიურს ითვალისწინებს საქართველოსა და უკრა-

ინას შორის გაფორმებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულების ნებართვაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ან მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის წარმომადგენელს დროულად და სათანადო ფორმით არ ჩაბარდა სასამართლოში გამოძახების უწყება).

36. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არაა გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.

37. რაც შეეხება მონინალმდევე შუამდგომლობას ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მრავალი ქვეყანა მისდევს revizion au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.

38. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, ამასთან, არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები არსებობს.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს რა ორმხრივი ხელშეკრულებისა და მინსკის კონვენციით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში, მიიჩნევს, რომ დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. შესაბამისად,

უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე, 53-ე-55-ე მუხლებით, საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით, 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 70-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. მ-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – 2011 წლის 26 ივლისს დაბადებული ლ. ა-ას სარჩენად ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის – მყარი ფულადი თანხის – 4000 გრივნის გადახდა, რომელიც კანონის თანახმად, ექვემდებარება ინდექსაციას, 2018 წლის 2 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ. ა-ას სარჩენად 2016-2017წწ პერიოდისათვის დამატებითი ხარჯების – 4000 გრივნის გადახდა. ასევე კ. ა-ას ი. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ. ა-ას სარჩენად ყოველწლიურად 10000 გრივნის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ალიმენტის გადახდის დაკისრება

## განჩინება საქართველოს სასჯელით

№ა-4552-შ-142-201

10 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ბელაქანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ბელაქანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით:

- ა. რ. გიზი ნ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- მოპასუხე თ. ა. ოღლის, 2013 წლის 26 ოქტომბერს დაბადებული მ. რ. თ. ოღლის სრულწლოვანების მიღწევამდე, 2018 წლის 21 ივნისიდან, დაეკისრა მისი მოვლა-პატრონობისა და შენახვისათვის ყოველთვიურად სტაბილური ფულადი თანხის 140 (ას ორმოცი) მანათის ალიმენტის სახით ა. რ. გიზი ნ-სთვის გადაცემა;
- სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2. ა. რ. გიზი ნ-მ შუამდგომლობით მომართ საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

3. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად. საქმის მასალებისა და განჩინების ასლები გადაეგზავნა მონინალმდეგე მხარეს. აღნიშნული კორესპონდენცია ადრესატს ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, თუმცა მას აღნიშნულ შუამდგომლობაზე მოსაზრება არ წარმოუდგენია.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკვსაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემ-



დეგ გარემოებათა გამო:

4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ბელაქანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოპასუხე თ. ა. ოლლის, 2013 წლის 26 ოქტომბერს დაბადებული მ. რ. თ. ოლლის სრულწლოვანების მიღწევამდე, 2018 წლის 21 ივნისიდან მოყოლებული, დაეკისრა მისი მოვლა-პატრონობისა და შენახვისათვის ყოველთვიურად სტაბილური ფულადი თანხის 140 (ას ორმოცი) მანათის ალიმენტის სახით დაკავება და ა. რ. გიზი ნ-სთვის გადაცემა.

5. შუამდგომლობაზე თანდართული მასალებით დგინდება, რომ 2018 წლის 7 სექტემბრიდან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

7. ამდენად, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

8. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ კონვენციის 51-ე-55-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. რ. გიზი ნ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ბელაქანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე თ. ა. ოლლის, 2013 წლის 26 ოქტომბერს დაბადებული მ. რ. თ. ოლლის სრულწლოვანების მიღწევამდე, 2018

წლის 21 ივნისიდან, დაეკისრა მისი მოვლა-პატრონობისა და შენახვისათვის ყოველთვიურად სტაბილური ფულადი თანხის სახით 140 (ას ორმოცი) მანათის ალიმენტის სახით დაკავება და ა. რ. გიზინთვის გადაცემა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ალიმენტის გადახდის დაკისრება**

### **განჩინება საქართველოს სასჯელით**

№ა-4421-შ-136-2019

2 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ტ. მ-კოს სარჩელი ი. ს-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა.**

1.1. ი. ს-ძეს (დაბადებული 1989 წლის 29 მარტს (პ/ნ ...), მცხოვრები საქართველოში, ბათუმში, ...) ტ. მ-კოს (დაბადებული 1985 წლის 10 ოქტომბერს (პ/ნ...)) სასარგებლოდ, დაეკისრა ალიმენტის გადახდა საკუთარი ვაჟის, 2017 წლის 12 მარტს დაბადებული ლ. ი. ძე ს-თვის, საკუთარი შემოსავლის  $\frac{1}{4}$ -ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვისთვის საარსებო მინიმუმის 50%-ის ოდენობით, 2018 წლის 5 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე, კერძოდ კი – 2035 წლის 12 მარტამდე.

1.2. ი. ს-ძეს ტ. მ-კოს სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად, მკაცრად განსაზღვრული თანხა 1841 გრივნას ოდენობით, 2018 წლის 5 ივლისიდან ლ. ი. ძე ს-ძის სამი წლის ასაკის მიღწევამდე, უფრო კონკრეტულად კი – 2020 წლის 12 მარ-

ტამდე.

1.3. ი. ს-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 768.40 გრივნის ოდენობით გადახდა.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-ძემ, რომელმაც ალიმენტის შემცირება მოითხოვა. ჩერნიგოვსკის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ს-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

3. შუამდგომლობაზე დართული ცნობის შესწავლით ირკვევა, რომ ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2019 წლის 22 ივლისს.

4. 2019 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით ტ. მ-კომ და ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონულმა სასამართლომ შუამდგომლობით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის.

5. შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ცნობების შესწავლით ირკვევა, რომ მოპასუხე დროულად და სათანადო წესით იყო მონეული სასამართლო სხდომაზე, ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 22 ივლისს, ხოლო მისი აღსრულება უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ განხორციელებულა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით, ტ. მ-კოსა და ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები მიღებულ იქნა განსახილველად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასახელებული განჩინების, ისევე როგორც, ზემოთმითითებული შუამდგომლობებისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, მოწინააღმდეგე მხარეს, ი. ს-ძეს გაეგზავნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, საქმის მასალებში არსებულ მისამართზე და 2019 წლის 23 ოქტომბერს ჩაჰბარდა.

8. მოწინააღმდეგე მხარე ი. ს-ძემ კანონით დადგენილ ვადაში წარმოადგინა თავისი მოსაზრება, რომლითაც ალიმენტის გადახდის თარიღის შეცვლა მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ტ. მ-კოსა და ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების (საქმე №732/952/18; №2/732/19/19) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**9. ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ტ. მ-კოს სარჩელი ი. ს-ძის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა.**

9.1. ი. ს-ძეს (დაბადებული 1989 წლის 29 მარტს (პ/ნ ...), მცხოვრები საქართველოში, ბათუმში, ...) ტ. მ-კოს (დაბადებული 1985 წლის 10 ოქტომბერს (პ/ნ ...)) სასარგებლოდ, დაეკისრა ალიმენტის გადახდა საკუთარი ვაჟის, 2017 წლის 12 მარტს დაბადებული ლ. ი. ძე ს-ძისათვის, საკუთარი შემოსავლის  $\frac{1}{4}$ -ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვისთვის საარსებო მინიმუმის 50%-ის ოდენობით, 2018 წლის 5 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე, კერძოდ კი – 2035 წლის 12 მარტამდე.

9.2. ი. ს-ძეს ტ. მ-კოს სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად, მკაცრად განსაზღვრული თანხა 1841 გრივნას ოდენობით, 2018 წლის 5 ივლისიდან ლ. ი. ძე ს-ძის სამი წლის ასაკის მიღწევამდე, უფრო კონკრეტულად კი – 2020 წლის 12 მარტამდე.

9.3. ი. ს-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 768.40 გრივნის ოდენობით გადახდა.

10. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-ძემ, რომელმაც ალიმენტის შემცირება მოითხოვა. ჩერნიგოვსკის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ს-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

11. შუამდგომლობაზე დართული ცნობის შესწავლით ირკვევა, რომ ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2019 წლის 22 ივლისს.

12. 2019 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით ტ. მ-კომ და ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონულმა სასამართლომ შუამდგომლობით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდ-

ნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის.

13. შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი დამონებული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ცნობების შესწავლით ირკვევა, რომ მოპასუხე დროულად და სათანადო წესით იყო მონეული სასამართლო სხდომაზე, ზემოთმითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 22 ივლისს, ხოლო მისი აღსრულება უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ განხორციელებულა.

14. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

15. სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ მინსკის კონვენციის (შემდეგში მინსკის კონვენცია) 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობით აღიარებს და აღასრულებს შემდგომ გადაწყვეტილებებს, გამოტანილთ სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე სამოქალაქო და საოჯახო საქმეთა იუსტიციის დანესებულებების გადაწყვეტილებებს, მათ შორის სასამართლოს მიერ ასეთ საქმეებზე დამტკიცებულ შეთანხმებებს მორიგების შესახებ და ნოტარიალურ აქტებს ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით (შემდგომ – გადაწყვეტილებებს), გარდა იმ შემთხვევებისა რომლებიც გათვალისწინებულია მინსკის კონვენციის 55-ე მუხლით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობებს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, გათვალისწინებულთ 51-ე მუხლში, განიხილავენ იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოები, რომელთა ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წი-

ნამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ, პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ. ამავე კონვენციის 53-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

16. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება(საქმე №732/952/18; №2/732/19/19) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილით, მინსკის კონვენციის 51-ე, 54-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ტ. მ-კოსა და ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ჩერნიგოვსკის ოლქის გოროდნიანსკის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება(საქმე №732/952/18; №2/732/19/19), რომლითაც ტ. მ-კოს სარჩელი ი. ს-დის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა;

2.1. ი. ს-ძეს (დაბადებული 1989 წლის 29 მარტს (პ/ნ ...), მცხოვრები საქართველოში, ბათუმში, ...) ტ. მ-კოს (დაბადებული 1985 წლის 10 ოქტომბერს (პ/ნ ...)) სასარგებლოდ, დაეკისრა ალიმენტის გადახდა საკუთარი ვაჟის, 2017 წლის 12 მარტს დაბადებული ლ. ი. ძე ს-დისათვის, საკუთარი შემოსავლის 1/4-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ შესაბამისი ასაკის ბავშვისთვის საარსებო მინიმუმის 50%-ის ოდენობით, 2018 წლის 5 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე, კერძოდ კი – 2035 წლის 12 მარტამდე;

2.2. ი. ს-ძეს ტ. მ-კოს სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად, მკაცრად განსაზღვრული თანხა 1841 გრივნას ოდენობით, 2018 წლის 5 ივლისიდან ლ. ი. ძე ს-დის სამი წლის ასაკის მიღწევამდე, უფრო კონკრეტულად კი – 2020 წლის 12 მარ-

ტამდე;

2.3. ი. ს-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 768.40 გრივნას ოდენობით გადახდა;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ალიმენტის გადახდის დაკისრება**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ა-986-შ-22-2020

8 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ერემაძე,  
ვ. კაკაბაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის 2(011)-8504/2019 დადგენილებით ა. ა. ს. გიზის (მოსარჩელე) მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს მიერ 2014 წლის 17 ოქტომბრის 2(011)-3429/2014 ნომრის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული ალიმენტის თანხა შეიცვალა და დადგინდა შემდეგი: მოპასუხე ი. ა. მ. ოლლის 03.08.2002წ. დაბადებული ი. გ. ა. გიზისა და 06.03.2005წ. დაბადებული ი. ა. ა. ოლლის სრულწლოვანებამდე შენახვისა და მზრუნველობისათვის ყოველ ბავშვზე 160 (ას სამოცი) მანეთის ოდენობით, სულ 320 (სამას ოცი) მანეთი ჩამოეჭრას და ჩარიცხულ იქნეს მოსარჩელის – ა. ა. ს. გიზის სასარგებლოდ. სარჩელი მოთხოვნის დანარჩენი ნაწილი არ დაკმაყოფილდეს. შეცვლილი ალიმენტის თანხის ჩამოჭრა დაანგარიშდეს გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

2. საკასაციო სასამართლოში მოსარჩელის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით, აღძრული შუამდგომლობით აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის 2(011)-8504/2019 დადგენილე-

ბის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულებაა მოთხოვნილი.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარდგენილი მასალებით ირკვევა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. ასევე, დასტურდება, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო უცხო ქვეყნის სასამართლოში გასამართი სხდომის თარიღისა და დროის თაობაზე.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 მარტის განჩინებით ა. ა. ს. გიზის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის 2(011)-8504/2019 დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

5. შუამდგომლობის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება შუამდგომლობაზე თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გაეგზავნა მონინაალმდევე მხარეს და განემარტა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში აქვს აზრის გამოთქმის უფლება, ასევე, მას შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე განიხილება მხარეთა დასწრების გარეშე.

6. მონინაალმდევე მხარისათვის გაგზავნილი სასამართლო გზავნილი 2020 წლის 16 მარტს ადრესატის მამას ჩაჰბარდა. მონინაალმდევე მხარეს საკასაციო სასამართლოსათვის მოსაზრებით არ მოუმართავს და არც საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა მოუთხოვია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

7. საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა აკმაყოფილებს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების (შემდეგში: საერთაშორისო ხელშეკრულება, ძალაშია 1997 წლის 18 თებერვლიდან) მოთხოვნებს, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და აღსრულდეს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება.

8. საქმის მასალებით დგინდება, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის 2(011)-8504/2019 დადგენილებით ა. ა. ს. გიზის (მოსარჩელე) მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის



სასამართლოს მიერ 2014 წლის 17 ოქტომბრის 2(011)-3429/2014 ნომრის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული ალიმენტის თანხა შეიცვალა. ამავე დადგენილების თანახმად, მოპასუხე ი. ა. მ. ოლიის – 03.08.2002წ. დაბადებული ი. გ. ა. გიზისა და 06.03.2005წ. დაბადებული ი. ა. ა. ოლიის სრულწლოვანებამდე შენახვისა და მზრუნველობისათვის ყოველ ბავშვზე 160 (ას სამოცი) მანეთის ოდენობით, სულ 320 (სამას ოცი) მანეთი უნდა ჩამოეჭრას და ჩარიცხულ იქნას მოსარჩელის – ა. ა. ს. გიზის სასარგებლოდ. სარჩელი მოთხოვნის დანარჩენი ნაწილი არ დაკმაყოფილდა. შეცვლილი ალიმენტის თანხის ჩამოჭრა უნდა დაანგარიშდეს გადანყვეტილების მიღების დღიდან.

9. საქმეში წარდგენილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს 2020 წლის 13 იანვრის ცნობით დასტურდება, რომ მოპასუხე უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ ჯეროვნად და სათანადო წესით იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ. ამავე ცნობის თანახმად, გადანყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 23 დეკემბერს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. შესაბამისად, დადასტურებულია მისი საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და აღსრულების სამართლებრივი საფუძვლები.

10. მონინალმდეგე მხარე გარდაბნის რაიონში მაცხოვრებელი პირია.

11. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული საერთაშორისო ხელშეკრულების მე-3 თავით მოწესრიგებულია გადანყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, კერძოდ, 42-ე-46-ე მუხლებით დადგენილია გადანყვეტილებათა ცნობა-აღსრულებისა და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადანყვეტილების ხელმოწერედ არსებით განხილვას.

12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შუამდგომლობას ერთვის საერთაშორისო ხელშეკრულების 44-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების წინაპირობების შემოწმების საკითხის გადანაწყვეტად.

13. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

14. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

15. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის დადგენილება უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ა. ს. გიზის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს 2019 წლის 20 ნოემბრის 2(011)-8504/2019 დადგენილება, რომლის საფუძველზე: ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონის სასამართლოს მიერ 2014 წლის 17 ოქტომბრის 2(011)-3429-2014 ნომრის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული ალიმენტის თანხა შეიცვალა და მოჰასუხე ი. ა. მ. ოლლის, 03.08.2002წ. დაბადებული ი. გ. ა. გიზისა და 06.03.2005წ. დაბადებული ი. ა. ა. ოლლის

სრულწლოვანებამდე შენახვისა და მზრუნველობისათვის ყოველ ბავშვზე 160 (ას სამოცი) მანეთის ოდენობით, სულ 320 (სამას ოცი) მანეთი უნდა ჩამოეჭრას და ჩარიცხულ იქნას მოსარჩელის – ა. ა. ს. გიზის სასარგებლოდ. შეცვლილი ალიმენტის თანხის ჩამოჭრა უნდა დაანგარიშდეს გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ქმედუნაროდ ცნობა**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ა-179-შ-7-2019

12 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** არაქმედუნარიანად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ირანის ისლამური რესპუბლიკის თეირანის საჯარო სასამართლოს 45-ე ფილიალის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ფ. ცნობილ იქნა არაქმედუნარიანად.

2. 2019 წლის 16 იანვარს მ. ფ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა ირანის ისლამური რესპუბლიკის თეირანის საჯარო სასამართლოს 45-ე ფილიალის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 29 სექტემბერს გაცემული მოწმობით ირკვევა, რომ მ. ფ. ი-ის ვაჟი წარმოადგენს არაქმედუნარიანი პირის ა. ფ-ის მეურვეს.

4. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 13 ოქტომბერს გაცემული წერილის შესწავლით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ქმედუნაროდ ცნობის თაობაზე აღსრულებულ იქნა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით საჩივარი არ გაკეთებულა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებში.

5. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2007 წლის 1 დეკემბერს გაცემული წერილის შესწავლით ირკვევა, რომ ზემოთ-მითითებული გადაწყვეტილება არაქმედუნარიანობასთან დაკავშირებით დასრულდა და კანონიერ ძალაშია შესული რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით საჩივარი არ გაკეთებულა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებში.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის განჩინებით მ. ფ-ის შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ფ-ის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

7. ირანის ისლამური რესპუბლიკის თეირანის საჯარო სასამართლოს 45-ე ფილიალის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ფ. ცნობილ იქნა არაქმედუნარიანად.

8. 2019 წლის 16 იანვარს მ. ფ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა ირანის ისლამური რესპუბლიკის თეირანის საჯარო სასამართლოს 45-ე ფილიალის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

9. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 29 სექტემბრის გაცემული მოწმობით ირკვევა, რომ მ. ფ. ი-ის ვაჟი წარმოდგენს არაქმედუნარიანი პირის ა. ფ-ის მეურვეს.

10. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების თანახმად, უფლებამოსილი პირის (მეურვის) დანიშვნა ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადებში საჩივრის წარუდგენლობის შემთხვევაში.

11. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 13 ოქტომბერს გაცემული წერილის შესწავლით ირკვევა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის თეირანის საჯარო სასამართლოს 45-ე ფილიალის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №1332/45/16; წერილობითი განაჩენი 1460) აღსრულებულ იქნა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით საჩივარი არ გაკეთებულა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებში.

12. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2007 წლის 1 დეკემბერს გაცემული წერილის შესწავლით ირკვევა, რომ ირა-

ნის ისლამური რესპუბლიკის თეირანის საჯარო სასამართლოს 45-ე ფილიალის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №1332/45/16; წერილობითი განაჩენი 1460) დასრულდა და კანონიერ ძალაშია შესული რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით საჩივარი არ გაკეთებულა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებში.

13. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე კანონის მე-15 მუხლის მიხედვით პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ ეს პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

14. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არაქმედუნარიანი პირის მეურვე – მ. ფ. დროებით ცხოვრობს საქართველოში და გააჩნია საქართველოში ბინადრობის მონმოზა.

15. ამ განჩინების მე-13 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს, წარმოდგენილი შუამდგომლობისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად, მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები არ არის საქმეში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15, 68-ე, მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ფ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს ირანის ისლამური რესპუბლიკის თეირანის საჯარო სასამართლოს 45-ე ფილიალის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №1332/45/16; წერილობითი განაჩენი 1460), რომლითაც ა. ფ. ცნობილ იქნა არაქმედუნარიანად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქმედუნაროდ ცნობა

### ბანჩინება საქართველოს სახელით

№ა-4315-შ-130-2019

22 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ქმედუნაროდ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ქ. სოჭის ადლერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის პირველი აპრილის №2-35/2013 გადაწყვეტილებით ნ. გ. ასული ა-სა და მ. დ. ძე ა-ს განცხადება დ. მ. ძე ა-ს ქმედუნაროდ აღიარების შესახებ დაკმაყოფილდა. დ. მ. ძე ა. დაბადებული 1993 წლის 24 მარტს, საქართველოში, ქალაქ ქუთაისში, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. სოჭი, ..., ბავშვობიდან პირველი ჯგუფის ივალდი, აღიარებულ იქნა ქმედუნაროდ.

2019 წლის 24 სექტემბერს ნ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ქ. სოჭის ადლერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 1 აპრილის №2-35/2013 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი კრასნოდარის მხარის ქალაქ კურორტი სოჭის ადლერის შიდასაქალაქო რაიონის სოციალური განვითარების და ოჯახის პოლიტიკის სამინისტროს მოსახლეობის სოციალური დაცვის სამმართველოს 2013 წლის 31 მაისს გაცემული განკარგულებით ირკვევა, რომ ნ. ა-ი დაინიშნა ქმედუნაროდ დ. მ. ძე ა-ს მეურვედ.

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ქ. სოჭის ადლერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის პირველი აპრილის №2-35/2013 გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2013 წლის 6 მაისიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ნ. ა-ის შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტო-

რიაზე ცნობის თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკაცაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. ა-ის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ქ. სოჭის ადლერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის პირველი აპრილის №2-35/2013 გადაწყვეტილებით ნ. გ. ასული ა-სა და მ. დ. ძე ა-ს განცხადება დ. მ. ძე ა-ს ქმედუწუნაროდ აღიარების შესახებ დაკმაყოფილდა. დ. მ. ძე ა. დაბადებული 1993 წლის 24 მარტს, საქართველოში, ქალაქ ქუთაისში, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. სოჭი, ..., ბავშვობიდან პირველი ჯგუფის ივალიდი, აღიარებულ იქნა ქმედუწუნაროდ.

2019 წლის 24 სექტემბერს ნ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ქ. სოჭის ადლერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 1 აპრილის №2-35/2013 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი კრასნოდარის მხარის ქალაქ კურორტი სოჭის ადლერის შიდასაქალაქო რაიონის სოციალური განვითარების და ოჯახის პოლიტიკის სამინისტროს მოსახლეობის სოციალური დაცვის სამმართველოს 2013 წლის 31 მაისს გაცემული განკარგულებით ირკვევა, რომ ნ. ა-ი დაინიშნა ქმედუწუნარო დ. მ. ძე ა-ს მეურვედ.

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ქ. სოჭის ადლერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის პირველი აპრილის №2-35/2013 გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2013 წლის 6 მაისიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ნ. ა-ის შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ კანონის მე-15 მუხლის მიხედვით პირის ქმედუწუნარიანობის შეზღუდვის საქმეებზე საქართველოს სასამარ-

თლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ ეს პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების თაობაზე და ამიტომ წინამდებარე განჩინების დასაბუთებისას ის ეყრდნობა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის (შემდგომში – მინსკის კონვენცია) მონესრიგებას.

„მინსკის კონვენციის“ პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორცაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს (შემდგომში – იუსტიციის დაწესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მინსკის კონვენციის მე-3 თავი ანესრიგებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების წესებს. აღნიშნული კონვენციის 51-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ცნობენ და აღსრულებენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების გადაწყვეტილებებს.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება რომ არაქმედუნარიანი პირი დ. მ. ძე ა. და მისი მეურვე ნ. ა-ი საქართველოში ცხოვრობენ.

საკასაციო პალატა საქმეში არსებული რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ქ. სოჭის ადლერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის პირველი აპრილის №2-35/2013 გადაწყვეტილების ში-



ნაარსობრივი შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები, შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ცნობილი უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ქ. სოჭის ადლერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის პირველი აპრილის №2-35/2013 გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ნ. გ. ასული ა-სა და მ. დ. ძე ა-ს განცხადება დ. მ. ძე ა-ს ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ და დ. მ. ძე ა. დაბადებული საქართველოში, ქ. ქუთაისში, 1993 წლის 24 მარტს, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. სოჭი, ..., ბავშვობიდან პირველი ჯგუფის ინვალიდი, აღიარებულ იქნა ქმედუუნაროდ;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება

## განჩინება საქართველოს სასხელით

№ა-3941-შ-99-2018

8 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**განხილვის საგანი:** უკრაინის დონეცკის ოლქის კრასნოარმე-  
ისკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 02.10.2012 წლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. უკრაინის დონეცკის ოლქის კრასნოარმეისკის საქალაქო რა-  
იონული სასამართლოს 02.10.2012 წლის გადაწყვეტილებით კ. ო.  
ასული ს-ძე (ქორწინებამდე პ.), დაბადებული 28.05.1986 წელს, დო-  
ნეცკის ოლქის ქალაქ ... მკვიდრი, აღიარებული იქნა უგზო-უკვლოდ  
დაკარგულად. კ. ა. ასული ს-ის უგზო-უკვლოდ დაკარგვის თარი-  
ღად ჩითვალა 2011 წლის 01 მაისი.

2. გ. ს-ძემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს  
სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა იმ დასაბუთებით, რომ გ. ს-  
ძესა და კ. ს-ძეს ჰყავთ საერთო შვილი – არასრულწლოვანი თ. ს-ძე.  
გ. ს-ძე აპირებს თ. ს-თვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების  
მიზნით იუსტიციის სამინისტროსთვის მიმართვას, რისთვისაც სა-  
ჭიროებს დედის თანხმობას. ვინაიდან დედა კ. ს-ძე დონეცკის ოლ-  
ქის კრასნოარმეისკის საქალაქო რაიონული სასამართლოს  
02.10.2012 წლის გადაწყვეტილებით მიჩნეული იქნა უგზო უკვლოდ  
დაკარგულად, გ. ს-ძეს იუსტიციის სამინისტროში წარსადგენად  
ესაჭიროება ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს  
ტერიტორიაზე ცნობა.

3. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018  
წლის 07 სექტემბრის განჩინებით შუამდგომლობა წარმოებაში იქ-  
ნა მიღებული განსახილველად.

### სამოტივაციო ნაწილი:

4. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩ-

ნებს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5. საქმეზე დადგენილია, უკრაინის დონეცკის ოლქის კრასნოარმეისკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 02.10.2012 წლის გადაწყვეტილებით კ. ო. ასული ს-ძე (ქორწინებამდე პ.), დაბადებული 28.05.1986 წელს, დონეცკის ოლქის ქალაქ დიმიტროვის მკვიდრი, აღიარებული იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად. კ.ა. ასული ს-ძის უგზო-უკვლოდ დაკარგვის თარიღად ჩაითვალა 2011 წლის 01 მაისი.

6. საცნობ გადაწყვეტილებაზე დასმული შტამპით დასტურდება, რომ 2012 წლის 23 ოქტომბრიდან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

8. ამდენად, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

9. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ს-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს უკრაინის დონეცკის ოლქის კრასნოარმეისკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 02.10.2012 წლის გადაწყვეტილება, კ. ო. ასული ს-ის (ქორწინებამდე პ.), დაბადებული 28.05.1986 წელს, დონეცკის ოლქის ქალაქ ... მკვიდრის, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ (უგზო-უკვლოდ დაკარგვის თარიღი 2011 წლის 01 მაისი).
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)